


ქალები მშვიდობის სამსახურში

სამშვიდობო მოქმედება



ქალაქი
მუნიციპალიტეტის
სამსახურები

2026

სარჩევი

წინამდებარე პუბლიკაციის შინაარსი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მისი რომელიმე წევრი ორგანიზაციის, ან დიდი ბრიტანეთის მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.

პუბლიკაცია მომზადდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ქალები მოქმედებენ მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“ ფარგლებში, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერით ხორციელდება.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია შეიქმნა, რათა ხელი შეუწყოს ქალთა უფლებების წინსვლასა და გენდერულ თანასწორობას, ყველა ქალისა და გოგოს გაძლიერებას.

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამყვანი სააგენტო და ქალთა სტატუსის კომისიის სამდივნო, ჩვენ ვმუშაობთ კანონების, ინსტიტუტების, სოციალური ქცევებისა და მომსახურებების ცვლილებებზე, რათა დავძლიოთ გენდერული უთანასწორობა და შევქმნათ თანასწორი მსოფლიო ყველა ქალისა და გოგოსთვის. ჩვენი პარტნიორობა მთავრობებთან, ქალთა მოძრაობებსა და კერძო სექტორთან, ასევე, გაეროს სისტემის მასშტაბით განხორციელებული კოორდინირებული საქმიანობა, პროგრესს მდგრად ცვლილებებად გარდაქმნის. ჩვენ ქალებისა და გოგოების წინსვლისთვის ოთხი ძირითადი მიმართულებით ვმუშაობთ: ლიდერობა, ეკონომიკური გაძლიერება, ძალადობისგან გათავისუფლება, ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება და, ასევე, ჰუმანიტარული საქმიანობა.

გაეროს ქალთა ორგანიზაციისთვის ქალებისა და გოგოების უფლებები ყოველთვის და ყველგან გლობალური პროგრესის ცენტრშია, რადგან გენდერული თანასწორობა არ არის მხოლოდ მიზანი, რომლისკენაც ვისწრაფვით, ის ჩვენი მთავარი არსია.

ტექსტის ავტორი: ნინო ნატროშვილი (გაეროს ქალთა ორგანიზაცია)
 ფოტოგრაფი: თაკო რობაქიძე
 დიზაინერი: თორნიკე ლორთქიფანიძე
 თარჯიმანი: ლელა დუმბაძე
 ინგლისური ენის რედაქტორი: მიშელ მინასკანიანი

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2026 წელი
 ყველა უფლება დაცულია



<p>08 ქლიური ქალი ქლიური ქვეყანაა მადონა ოქროპირიძე</p> <p>14 იარაღთ წინ ამაყი ნაბიჯებით თამარ საჩალელი</p> <p>20 ქოშკის იმედი ლია მიქელაძე</p> <p>26 სოფლის ელჩი მანანა გოგნაძე</p>	<p>32 ღვენილი ქალაის ხმა მნიშვნელოვანია, მათ უნდა მოუსმინონ ნონა გვაძაბია</p> <p>38 დიდი შვედებისა და პატარა ნაბიჯების მიჯნა ქრისტინა ქუთათელაძე</p> <p>44 გადაწყვეტილების მიღების მაგივრად ქალაის ადგილი უოქვლეთვის უნდა იყოს ნუკა კაკაურიძე</p> <p>50 თუ ქალაი უხილავ არიან, ბევრი რამ კეთდება ნაზი ლობჯანიძე</p>	<p>56 ღღას გვიღობას ახალგაზრდა ქალები ქმნიან თიკო ლავგილავა</p> <p>60 როსა რალას დიდის ნაწილი ხარ ანა ლეფონავა</p> <p>66 ბავშვური სოლიდარობის ბაგრაქა სოფო შენგელაია</p> <p>72 საქმედ ქსეული პატრიოტიზმი ნატო სუბარი</p>
--	---	--



ქალაქი მშვიდობის სამსახურში

დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული, გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები, თემის ლიდერი ქალები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ადგილობრივ დონეზე განხორციელებაში. შესაბამისად, მათი მხარდაჭერა ხანგრძლივი და მდგრადი მშვიდობის მშენებლობისთვის მნიშვნელოვანი, ზოგ შემთხვევაში კი გადამწყვეტი ფაქტორია.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ლოკალიზაციაზე 2018 წლიდან მუშაობს. ინიციატივა სამი არასამთავრობო ორგანიზაციის – ქალთა საინფორმაციო ცენტრის, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობისა“ და საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ ქალთა ფონდ „სოხუმის“ ურთიერთთანამშრომლობით მიმდინარეობს. ამ მნიშვნელოვანი მიმართულების განხორციელება პროექტის „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელებისთვის საქართველოში“ ფარგლებში, დიდი ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერით დაიწყო და ახლა პროექტით „ქალები მოქმედებენ მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“, კვლავაც დიდი ბრიტანეთის მთავრობის ხელშეწყობით გრძელდება.

ამ პერიოდში მიღწეულ შედეგებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელის ფორმირებას, რომელიც 2023 წელს, საქართველოში პირველად ჩამოყალიბდა. ქსელი 17 მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ 200-ზე მეტ ქალსა და ახალგაზრდას აერთიანებს. ყველა მათგანი გადამზადებულია თანამედროვე ტექნოლოგიების, ინფორმაციის შეგროვებისა და დოკუმენტირების საკითხებ-

ში, ჩართულია ადგილობრივი საჭიროებების კვლევის, პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებისა და ადვოკატირების პროცესებში.

ქსელის წევრი ძლიერი და სამაგალითო ქალების მოხალისეობრივი ძალისხმევით, გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში არაერთ სასიკეთო და ღირებულ ცვლილებას ჩაეყარა საფუძველი. პუბლიკაციაში თავმოყრილი ისტორიები სწორედ მათ გამოცდილებებზე, თავგადასავლებსა და ღირებულებებზე გიყვებათ. გიამბობთ სამშობლოს, მშვიდობისა და ადამიანების ნამდვილ სიყვარულზე, სიყვარულზე, რომელიც ქალებს მოტივაციასა და ძალას აძლევს მოხალისეობრივი საქმიანობისთვის, სხვების უპირობო დახმარებისა და დიდი თუ პატარა ამოცანების მაღალი პასუხისმგებლობით შესრულებისთვის.

საოცარი ჰუმანურობისა და თავდადების რეალური ამბები, რომლებსაც აქ წაიკითხავთ, დაგარწმუნებთ, რომ ნამდვილ მშვიდობას სწორედ ეს ქალები ქმნიან, ამიტომ მათ ჩართულობას გადამწყვეტილების მიღების პროცესებსა თუ სახალხო დიპლომატიაში, კონფლიქტების შედეგად დანგრეული ხიდების აღდგენაში უდიდესი პოტენციალი აქვს.

გაიცანით ქალები მშვიდობის სამსახურში მთელი საქართველოდან.



ქლიერი ქალი ქლიერი ქვეყანაა

მადონა ოქროპირიძე

68 წლის,
ქვემო ქართლის რეგიონი,
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი,
სოფელი კოდა

68 წლის მადონა ოქროპირიძე ცხინვალიდან დევნილია. ამჟამად ის სოფელ კოდაში, დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს და კოდის სათემო განათლების ცენტრს ხელმძღვანელობს.

შესრულებული პირობა

„ჩემი ქვეყანა მიყვარს. მინდა, ერთიანი და ძლიერი იყოს, სახლში რომ დაგვრუნდეთ, ეს მაძლევს ძალას. მერე ასაკი გამახსენდება ხოლმე და მეფიქრება: განა რამდენი წელი უნდა ვიცხოვრო, ამას რომ მოვეწწრო?“ – ასე პასუხობს მადონა ოქროპირიძე, როცა გადამდებ ენერჯისა და მოტივაციამე ეკითხებიან.

მადონა ცხინვალის რეგიონიდანაა. მზურის რაიონში, სოფელ ნულში დაიბადა. მერე დასთან ერთად თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. ჯერ ბიბლიოთეკათმცოდნეობა დაამთავრა, მერე კი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. მომავალი მეუღლეც, რომელიც ასევე ცხინვალის რეგიონის სოფელ დისევიდან იყო, მაშინ გაიცნო. სწავლის დასრულების შემდეგ ორივენი მშობლიურ მხარეში დაბრუნდნენ, დაქორწინდნენ და იქვე დასაქმდნენ.

90-იანების დასაწყისში საქართველო ეროვნულმა მოძრაობამ მოიცვა. მადონა და მისი მეუღლე ამ პროცესებშიც აქტიურად ჩაერთნენ. ძალიან მალე ცხინვალში მდგომარეობა უკიდურესად გართულდა.* „1992 წელს ჩემი ქმარი, რომელიც მაშინ პატარა ლიახვის ხეობის სოფლების გამგებელი იყო, ოსმა სეპარატისტებმა დაიჭირეს. ისე სასტიკად აწამეს, რომ მხოლოდ სხეულის მესამედი მივაბარე მინას. იმ დღეს დავიფიცე, რომ საქმეს, რომელსაც შეენირა, მე გავაგრძელებდი“, – იხსენებს მადონა.

პირობა შეასრულა და სამი მცირეწლოვანი ბავშვით მართოდ დარჩენილმა, პატარა ლიახვის ხეობის დისევ-ქსუისის

გამგეობაში შემავალი სოფლები ჩაიბარა. მის გამგებლად დანიშნას განსხვავებული რეაქციები მოჰყვა. იმიტომ არა, რომ მოვალეობას თავს ვერ გაართმევდა: მაშინდელი წარმოდგენით, ახალგაზრდა ქალს, თანაც ქვრივს, სამუშაოზე საერთოდ არ უნდა ეფიქრა.

„ზოგმა ისიც თქვა, რა ესამსახურებო. გარეთ არ ვიმჩნევდი, მაგრამ სახლში რომ ვბრუნდებოდი, ვლეღავდი. მერე ერთხელაც ჩემს თავს ვუთხარი: ვის უგდეხ ყურს, რატომ აქცევ ყურადღებას? შენ უნდა იდგე იქ, სადაც ხარ, იმრომლო შენი სამშობლოსთვის“, – იხსენებს მადონა.

ხილვის გამოწვევა

გამგებლის პოზიციაზე ყოფნისას მადონა მშვიდობის მშენებლობაშიც აქტიურად იყო ჩართული, მონაწილეობდა ოსურ მხარესთან გამართულ სამშვიდობო შეხვედრებში. ბრიტანეთის საელჩოს მხარდაჭერით, იმ პერიოდში სასწავლო ვიზიტით ირლანდიაშიც გაემგზავრა და კონფლიქტების დარეგულირებისა და მშვიდობიანი გზით მოგვარების იქაურ გამოცდილებასაც გაეცნო. განცდილი პირადი ტკივილის მიუხედავად, ფიქრობს, რომ ხიდების გამოთვლებას ალტერნატივა არ აქვს.

„ომში სულ ასეა: ჩვენ, უბრალო ადამიანები განვიცდით ყველაზე მეტ დანაკარგს. ვიცი, რომ შუაღლით ვერაფერს მოიგებ, შერიგებით უნდა მოიგო. ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი დავკარგე, მაგრამ არასდროს მითქვამს შვილებისთვის, რომ ოსი მტერია. ბავშვები სიძულვილით არ გამიზრდია. ტრაგედიები ორივე მხარეს იყო, ჩვენ ყველანი მსხვერპლები



მადონა ოქროპირიძე ამფითეატრთან, რომელიც მისი ინიციატივით, კოლის სათემო განათლების ცენტრის ეზოში მოეწყო. მადონა „მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელის წევრია და, სხვა ქალებთან ერთად, დევნილთა დასახლების პრობლემებს სწავლობს, შემდეგ კი მათ ადვოკატირებას ეწევა.

„ომში სულ ასეა: ჩვენ, უბრალო ადამიანები განვიცდით ყველაზე მეტ დანაკარგს. ვიცი, რომ შუაღლით ვერაფერს მოიგებ, შერიგებით უნდა მოიგო.“
— მადონა ოქროპირიძე

ვიყავით, ამიტომ სულ ვცდილობდი ჩატეხილი ხიდების გამთელებას“, – ამბობს მადონა.

ხიდების გამთელებაზე ზრუნვა არც გამგებლობის შემდეგ შეწყვიტა. საჯარო სამსახური რომ დატოვა, გაეროს მხარდაჭერით, დისევში რძის ჩამბარებელი ცენტრი გახსნა. „ეს იყო ორივე მხარის თავშეყრის ადგილი, შესაძლებლობა ურთიერთობის აღდგენისთვის“, – აღნიშნავს მადონა.

სხოვნება ღვიძლის უმცლავ

2008 წლის აგვისტოში*** დანყებული სროლა მადონას სიტუაციის კიდევ ერთი ხანმოკლე გამწვავება ეგონა. ჭურჭელი და სხვა მსხვრევადი ნივთები იატაკზე დააღაგა – ხვალ ხომ მაინც აქ უნდა მოვიდეთ, თქვა და ისე წამოვიდა, თან არაფერი წამოუღია, თუმცა უკან აღარ დაბრუნებულა.

თავდაპირველად თბილისში ჩამოვიდა, სტუდენტ შვილებთან, მოგვიანებით კი ცხოვრება კოდაში, დევნილების დასახლებაში განაგრძო. „ურთულესი პირობები იყო. წყალიც კი არ გვქონდა. მეც უმუშევარი ვიყავი. არ მინდოდა, შვილებს სწავლისთვის თავი დაენებებინათ, მათ მომავალზე მეფიქრებოდა, ამიტომ, სხვა ქალებთან ერთად, იალგუჯის ქედზე დავინწყე სიარული. იქ საცოცხე მცენარე ხარობს. ვამტვრევდით, ვაგროვებდით და სპეციალურ პუნქტში ვაბარებდით“, – იხსენებს მადონა.

იალგუჯე მიმავალმა, ერთხელ კედელზე DVV – international-ის განცხადება ნახა გაკრული. „დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის ინტეგრაციის პროგრამით“ კოდის სათემო განათლე-

ბის ცენტრი იხსნებოდა და ოფისის მენეჯერის ვაკანსია იყო გამოცხადებული. გადანიყვიტა, ეცადა. განაცხადი შეავსო და დასაქმდა კიდევ. ჯერ ოფისის მენეჯერად მუშაობდა, 2014 წლიდან კი კოდის სათემო განათლების ცენტრის დირექტორია.

მადონამ ხიდების გამთელება ახალ სამსახურშიც განაგრძო: დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის დაახლოებისთვის, ევროკავშირის მხარდაჭერით, სახელობო და პიროვნული განვითარების კურსები გახსნა, ორგანიზება გაუწია ტრენინგებს ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის. „ამ ურთიერთობებმა ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობა ერთმანეთს ძალიან დაახლოვა“, – ამბობს მადონა.

პროექტის დასრულების შემდეგ ცენტრი არასამთავრობო ორგანიზაციად ჩამოყალიბდა, მისი საქმიანობა კი, სწავლასთან ერთად, დასაქმების ხელშეწყობასა და მთლიანად თემის განვითარებაზე გახდა ორიენტირებული. შენობის ეზოში მოეწყო ამფითეატრიც, რომელიც სხვადასხვა ღონისძიებას მასპინძლობს.

ქალების კადა

ქალების ერთიანობას რომ სასიკეთო ცვლილებები მოაქვს, მადონამ დიდი ხანია იცის. წლების წინ თეთრინყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებიდან 15 ქალი სწორედ ამ მიზნით შემოიკრიბა და მარო მაყაშვილის სახელობის ქალთა კლუბი ჩამოაყალიბა. კლუბის ძირითადი საქმიანობა ქალთა გაძლიერება, ადგილობრივი მენარმეების პროდუქტების გამოფენა-გაყიდვების მოწყობა, კულტურულ-საგანმანათლებლო ღო-



ნისძიებებისა და ტრენინგების ჩატარებაა.

პარალელურად, მადონა „მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელის წევრია. დევნილ ქალებთან ერთად, დასახლების პრობლემებს სწავლობს, შემდეგ კი მათ ადვოკატირებას ეწევა. ქალების აქტიურობით, სკოლისკენ მიმავალი გზა უკვე დაიგო, საბავშვო ბაღთან კი საკანალიზაციო სისტემა მოწესრიგდა.

მადონა ამბობს, რომ „მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელის წევრობამ ის კიდევ უფრო გააძლიერა. „დავინახე, რომ შეიძლება ყველას ერთი ამრი არ გვქონდეს, მაგრამ უნდა შევთანხმდეთ. ამოსავალ წერტილად ვაქციოთ ის, რაც გვაერთიანებს. თან რომ ვუსმენ ამ აქტიურ ქალებს, რომლებიც უამრავ სასიკეთო საქმეს აკეთებენ, საკუთარ თავს ვუბნები ხოლმე: არ უნდა მოვდუნდე, მეც ასეთი უნდა ვიყო“, – აღნიშნავს ის.

ფიქრობს, რომ ქალების მთავარი ძალა მათ მშვიდობიან ბუნებაშია და ეს პოტენციური ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ. „იტყვიან ხოლმე, ქალის ადგილი სამხარეულოშიაო და ის კი ავიწყდებათ, 90-იანებში ქვეყანა სწორედ მათ რომ გადაარჩინეს. ქალებმაც უნდა გაითავისონ, რომ ძლიერი ქალი ძლიერი ქვეყანაა, მეტად იაქტიურონ. ბოლოს და ბოლოს, თამარ მეფე გვყავდა, როგორ შეიძლება ჩვენ თავდაჯერებულები არ ვიყოთ, უფრო მეტად არ ვმონანილებდეთ მხოლოდ სამშვიდობო პოლიტიკაში კი არა, ყველგან, სადაც გადანყვეტილებებს იღებენ“, – ამბობს მადონა.

აქტიურობის მაგალითს თავადაც ყოველდღიურად ქმნის: სულ ახლახან მადონამ, დევნილ ქალებთან ერთად, სათემო მობილიზაციაც წამოიწყო, თვითდახმარების ჯგუფი ჩამოაყალიბა, საჭიროებები იკვლია და მალე სათემო პროექტის განხორციელებასაც დაიწყებს.



იარეთ ღინ აგაჟი ნაბიჯებით

თამარ საჩალელი

45 წლის,
შიდა ქართლის რეგიონი,
კასპის მუნიციპალიტეტი,
სოფელი ქვემო ჭალა

თამარ საჩალელი სოფელ ქვემო ჭალის კულტურის სახლის ეზოში, საბჭოთა პერიოდის კედლის მონაწილესთან. მასზე სიმბოლურად ის დოვლათი და ბარაქაა გამოსახული, რომლითაც წარსულში ქვემო ჭალა იყო ცნობილი.

ცხოვრება გაყოფილი ხაზით

„2008 წლის აგვისტოს ომი*** რომ დაიწყო, სოფელი ქვემო ჭალა თითქმის დაიცალა. ორი მცირეწლოვანი შვილი თბილისში, ნათესავებთან გავუშვი. მე კი დავრჩი. ან სად წავიდოდი, ჩემი ქმარიც ომში იყო და მის შესახებ არაფერი ვიცოდი, ტელეფონითაც ვერ ვუკავშირდებოდი“, – ასე იხსენებს თამარ საჩალელი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე რთულ დღეებს.

მეუღლე სახლში მაშინ დაბრუნდა, როცა თამარს ის უკვე ტყვედ ჩავარდნილი ან გარდაცვლილი ეგონა. მოგვიანებით გაიგო, რომ დაბომბვას მისი ქმარი სასწაულებრივად გადაურჩა.

„არც ომის შემდეგ იყო მარტივი, როცა სოფელში ტანკები დადიოდნენ, უფროსი შვილი კი სკოლაში შიშით დამყავდა და არც – ახლა. გამყოფი ხაზის მიმდებარე ცხოვრება ყოველთვის რთულია: არასდროს იცი, რა როდის მოხდება, მაგრამ აქედან წასვლა ერთხელაც არ მიფიქრია“, – ჰყვება თამარი.

თამარი აკომპანიატორია და სოფლის კულტურის სახლში მუშაობს. გიტარაზე, ფორტეპიანოსა და ფანდურზე უკრავს, მღერის და მუნიციპალურ ღონისძიებებშიც ხშირად მონაწილეობს. დაკვრას, საესტრადო და ხალხურ სიმღერებს ბავშვებსაც ასწავლის და ამაცობს, რომ მისი მოსწავლეები სხვადასხვა კონკურსში წარმატებით გამოდიან. კარგად უკრავს და სახლის ზედა სართულზე მოწყობილ სამკერვალოში შეკვეთებსაც იღებს.

თამარმა ოჯახი პატარამ შექმნა და უმაღლესი განათლების მიღება ვეღარ

მოახერხა, ამიტომ სულ ცდილობდა, შვილებს კარგად ესწავლათ, რაც თავად დააკლდა, მათ ჰქონოდათ. თუმცა, სწავლის სურვილი მოგვიანებით მაინც აისრულა: 45 წლის ასაკში კასპის პროფესიულ სასწავლებელში ჩააბარა და ახლა მებოსტნეობას ეუფლება.

თამარი ბიომეურნე და ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ წევრია. მისი პროფესიული არჩევანი ამანაც განაპირობა. წლებია, სასარგებლო პარკოსანი მცენარე ცულისპირა და ქართული ხორბლის უძველესი ენდემური ჯიში წითელი დოლი ქიმიური პრეპარატების გარეშე მოჰყავს. სამომავლოდ კი სურს, სახლში მცირე აგროტურისტული ობიექტს შექმნას – სივრცე, სადაც ტურისტებს გაუმასპინძლებს და მათ ადგილობრივი კერძების კულინარიულ მასტერკლასებსა თუ ბოსტნის აგროტურს შესთავაზებს.

ამ მრავალფეროვანი საქმიანობების გარდა, თამარი სოფლის ლიდერი და ის აქტივისტია, რომლის მოხალისეობის შესახებ ყველამ იცის.

ღიანახლისოგიდან მშვიდობის აღრობამდე

2019 წელს, როცა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ლოკალიზაცია დაიწყო, თამარი როგორც აქტიური ადგილობრივი ქალი, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობასთან“ შეხვედრაზე მიიწვიეს. ორგანიზაციის საქმიანობასაც იმ დღეს გაეცნო. COVID-19-ის პანდემიის დროს კი მისი ჩართულობა კიდევ უფრო გაიზარდა.



თამარ საჩალელი კასპის დღესასწაულის აღსანიშნავ ღონისძიებაზე. მოცეკვავე გოგონებს, რომლებიც ნომრის შესასრულებლად ემზადებიან, ის მუსიკალურ აკომპანირებას უწევს.

„გაყოფილი ხაზის მიუხედავად ცხოვრება ყოველთვის რთულია: არასდროს იცი, რა როდის მოხდება, მაგრამ აქედან წასვლა ერთხელაც არ მიფიქრია.“

— თამარ საჩალელი



„მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელის წევრი თამარ საჩალელი საკუთარ ეზოში. თამარს, რომელიც ბიომეურნეობა, სურს, სახლში მცირე აგროტურისტული ობიექტი შექმნას და ტურისტებს გაუმასპინძლდეს.

თამარის გააქტიურება 2021 წელს, ქვემო ჭალაში, გამყოფი ხაზის 150 მეტრით გადმონევას მოჰყვა. ამ ფაქტმა სოფლის მოსახლეობა ძალიან შეაშინა. თამარმა გადაწყვიტა, ქალების ჯგუფში, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციამ COVID-19-ის პანდემიის დროს, ინფორმაციის გავრცელებისა და კოორდინაციისთვის შექმნა, მომხდარზე დაენერა, ქვემო ჭალელების გულის ტკივილი იქ გაეზიარებინა. მალევე ის ამ თემაზე სასაუბროდ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების შესახებ საინფორმაციო შეხვედრაზე მიიწვიეს.

„საერთოდ არ ვიცოდი, რა შეხვედრა იყო, არც გამოცდილება მქონდა, ამიტომ ძალიან ვღელავდი, მაგრამ, მგონი, საბოლოოდ კარგად გამოვედი. იცით, ეს ჩემს ცხოვრებაში რა იყო? ერთმა გლეხმა ქალმა, რომელსაც სოფლის იქეთ არ გამიხედავს, სამოგზაუროდ არ ვყოფილ-

ვარ, შევძელი და მინისტრებისა და ელჩების წინ ხმა ისე ამოვიღე, რომ არ გავნითლდი“, – იხსენებს პირველ საჯარო გამოსვლას თამარი.

ამ დღის შემდეგ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობა აქტიურად განაგრძო. მოგვიანებით კი ხანდაზმულთა შინამშენებლის პროგრამაშიც ჩაერთო. ინიციატივას იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ ახორციელებს, თამარი კი ამჟამად ქვემო ჭალაში მცხოვრებ 5 მოხუცს უვლის.

მოზაიკა, რომელიც ჩაალოდა უნდა იქნას

კულტურის სახლში ეზოში, იქ, სადაც თამარი მუშაობს, საბჭოთა პერიოდის კედლის მოზაიკაა. თამარი ჰყვება, რომ მასზე სიმბოლურად ის დოვლათი და ბარაქაა გამოსახული, რომლითაც წარ-

სულში ქვემო ჭალა იყო ცნობილი. „ეს კედელი ჩემი შთაგონება და მოტივაციაა. შეიძლება, სოფელი ისე უწინდებურად ვერ ავალორძინო, მაგრამ მინდა, აქაურების კეთილდღეობა გაიზარდოს, ყველაფერს ამისთვის ვაკეთებ“, – ამბობს თამარი.

სოფელში მოსახლეობის დიდი ნაწილი წასულია. თამარი „მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელში განეწიანების შემდეგ სათემო მობილიზაციაში ჩაერთო და თვითდახმარების ჯგუფიც ჩამოაყალიბა. დარჩენილი ადგილობრივების საჭიროებებს ის გულმოდგინედ სწავლობს.

„სპეციალური საქაჩები გვჭირდება, რომ წყალი დღეში მხოლოდ 2-3 საათით არ მოდიოდეს. კულტურის სახლიც სარეაბილიტაციოა, ბავშვებს საჭიდაო არენა და სათამაშო მოედანი არ აქვთ. განათება და გზაც აუცილებელია. ამის გარეშე უსაფრთხოება როგორ გამოვა? მოსახლეობა უნდა შევამაგროთ და შევცადოთ, აქაურობა არ დაიცალოს. რა ვიცით, იქნებ სასიკეთო ძვრებიც მოხდეს“, – ამბობს თამარი და იმედი აქვს, რომ მოზაიკაზე აღბეჭდილს ერთ დღესაც რეალობაში ნახავს.

ლიქინის პასუხისმგებლობა

თამარი ბევრი თანასოფელელისთვის საჭირო ინფორმაციის წყარო და საუკეთესო დამკვალიანებელია. ზოგს განაცხადისა და პროექტის დაწერაში ეხმარება, ზოგსაც – სახელმწიფო სერვისებით სარგებლობაში. თუმცა, მიუხედავად ამისა, ხანდახან მისი მობილიზაციის მიღმა სულ სხვა ინტერესს

ხედავენ: „მოცლილი ხარ და დადიხარ, ან, ალბათ, მაღალი ხელფასი გაქვსო – ამას პირდაპირ მეუბნებიან ხოლმე. ისე გამოვიდა, რომ ვილაცისთვის საქილიკო ვარ, ვილაცისთვის – მოტივაციის მიმცემი, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ სწორ გზაზე ვდგავარ და მინდა, ჩემს სოფელსა და ქვეყანას კარგი გავუკეთო“, – ამბობს თამარი.

ისიც იცის, რომ ბევრი გოგოსთვის მაგალითიცაა, რაც დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს, თუმცა პასუხი ამაზეც აქვს: „როცა ლიდერად ყალიბდები, სანიშნოც უნდა იყო და სულ განვითარდე. რთულია, მაგრამ ეს გზა თავად ავარჩიე. მახარებს ლიდერობა, რომელიც დიდი ძალისხმევით მოვიპოვე. ჩემი ქმარი რომ ჩემი საქმიანობით ამაყობს, ესეც არანაკლები შრომის შედეგია“, – ამბობს თამარი.

განვითარების იდეებს ახლა „მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელის შეკრებებზეც პოულობს. ამბობს, რომ მისთვის ამ შეხვედრებზე გაცნობილი ქალები მისაბაძები არიან: „ერთმანეთისთვის მხოლოდ კარგი გვინდა. აქ არავინ გიყურებს სტერეოტიპულად, პირიქით: უდიდეს მხარდაჭერას ვნახულობ და უფრო მყარად ვარ, ამ თანამოაზრე ქალებით ფესვები მაქვს თითქოს გადგმული“, – ამბობს თამარი და დასძენს, რომ მნიშვნელოვანია, მათი ხმა რაც შეიძლება შორს გაისმას და მეტი გოგო შთააგონოს. „იარეთ წინ ამაყი ნაბიჯებით და იყავით საკუთარი თავისა და სხვების წინამძღოლი“, – ასეთია მისი გზავნილი ქალების მიმართ.



კოშკის იმედი

ლია მიქელაძე

58 წლის,
შიდა ქართლის რეგიონი,
გორის მუნიციპალიტეტი,
სოფელი კოშკა

ლია მიქელაძე „მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელის წევრია და თანასოფლელებზე საკუთარი ოჯახის წევრებივით ზრუნავს.

დავნილი კვლევა

„ომმა მასწავლა, როგორი ძვირფასია სამშობლო. შეიძლება, მსხვერპლიც აღმოჩნდეს, მაგრამ მთავარია, შენი ქვეყნისთვის იცხოვრო. ამის გაცნობიერებამ გამაძლიერა“, – ამბობს 58 წლის ლია მიქელაძე, მუსიკის მასწავლებელი და მოხალისე სოფელ კომკადან, რომელიც ადგილობრივებს განსაკუთრებით ეიმედებათ.

ლია აქაური არ არის: დაბა ასპინძაში დაიბადა და გაიზარდა. სკოლაც იქ დაამთავრა და მუსიკალური შვიდწლედ იყო. ტყუპისცალ დასთან ერთად, ბავშვობიდან მღეროდა და უკრავდა. გოგონები სცენაზე ხშირად იდგნენ და მაყურებელს არა მარტო ერთმანეთთან მსგავსებით, ნიჭითაც აოცებდნენ.

სკოლის დამთავრების შემდეგ დებმა სწავლა თბილისში, სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯში, საგუნდოსადირიჟორო მიმართულებით განაგრძეს. უმაღლესი განათლების მისაღებად ემზადებოდნენ, როცა ლია მოულოდნელად მოიტაცეს. ოჯახის შექმნის შემდეგ ის საცხოვრებლად კომკაში გადავიდა და მუშაობა მეზობელი სოფლის, დისევის საჯარო სკოლაში, მუსიკისა და სიმღერის პედაგოგად დაიწყო.

2008 წლის აგვისტოს ომის*** შემდეგ დისევიც და ლიას სამსახურიც გამყოფი ხაზის მიღმა აღმოჩნდა. „პირველად 90-იან წლებში ცხინვალის ომმა* დაგვაზარალა. ჩემი ქმარი ცხინვალში მუშაობდა და, ბუნებრივია, ის საქმე ვეღარ გააგრძელა. მაშინ მთელი ოჯახი იმ მცირე ხელფასის ანაბარა დავრჩით,

რომელსაც სკოლაში ვიღებდი. სამწუხაროდ, 2008 წელს უკვე მე დავკარგე სამსახური“, – იხსენებს ლია.

დავნილმა პედაგოგმა მუშაობა სოფელ მერეთის საჯარო სკოლაში გააგრძელა, თუმცა 2 წლის შემდეგ მისი შტატი შემცირდა. ლიასთვის ეს დიდი სტრესი აღმოჩნდა. სულ გაკვეთილებზე შესვლა და მოსწავლეების დანახვა ენატრებოდა, ამიტომ როგორც კი გაიგო, რომ მერეთში ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children) ადგილობრივ კადრებს ეძებდა, განაცხადი შეიტანა და დასაქმდა კიდევ. ლია სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის გასართობ აქტივობებს აორგანიზებდა და თან სულ ეძებდა გზებს, სოფლისთვის მეტი რომ გაეკეთებინა.

ერთ დღესაც, გორში ჩასული, პირდაპირ გაეროს იქაურ ოფისში მივიდა და კომპის საჭიროებებზე ისაუბრა. 1 კვირის შემდეგ ლია გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე მიიწვიეს. იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ ხელმძღვანელი იულია ხარაშვილი სწორედ იქ გაიცნო. ამ შეხვედრამ მისი საქმიანობა სრულიად შეცვალა. მალე ლია „თანხმობის“ თანამშრომელი გახდა.

კომპის განვითარებისთვის

იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობასთან“ ერთად, ლიამ 2009 წელს კომპის სათემო განვითარების ცენტრი ჩამოაყალიბა. საკუთარი სახლის მეორე სართულზე სივრცე მოაწყო, სადაც ადგილობრი-



ლია მიქელაძე სწავლასა და განვითარებას არ წყვეტს. სოფელში ქალების გააქტიურებაზე ზრუნავს და ცდილობს, სასიკეთო ცვლილებების მიღწევის პროცესში ბევრი მათგანი ჩართოს.

„ზოგმა იცის სოლგა თქვა, ჩემს სახლთან გზა არ არისო. უნეს სახლზე კი არა, სოფელში რა არის გასაკეთებელი, იმაზე უნდა იფიქრო. — ლია მიქელაძე



ლია მიქელაძე გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კოშკაში, საკუთარი სახლში. ლია მუსიკისა და სიმღერის მასწავლებელია, თუმცა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სკოლა, სადაც ის მუშაობდა, გამყოფი ხაზის მიღმა აღმოჩნდა. მას შემდეგ დევნილი პედაგოგი მოხალისეობასა და აქტივიზმში ჩაერთო.

ვებისთვის ჭრა-კერვის, სტილისტისა და კომპიუტერის შესწავლის უფასო კურსები ტარდებოდა. იმართებოდა ტრენინგები ლიდერობის, ადამიანის უფლებების, მუნიციპალიტეტთან ურთიერთობის, ოჯახში ძალადობისა და სხვა თემების შესახებ.

გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობაც ლიამ იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ დახმარებით დაიწყო და არაერთი სასარგებლო ინიციატივის განხორციელება შეძლო. მისი აქტიურობით, COVID-19-ის პანდემიის დროს

კოშკაში საჭირო ნივთები და ჰიგიენური საშუალებები დარიგდა, დამონტაჟდა გარე განათება, მოეწყო საბავშვო მოედანი და მოწესრიგდა სანიაღვრე არხები.

ლია, რომელიც „მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელს დაარსებისთანავე შეუერთდა, ამბობს, რომ არაფორმალურმა განათლებამ მასზეც უდიდესი გავლენა მოახდინა: „ქუჩაში რომ ვინმე შემხვდება, მართლაც გამარჯობას როგორ დავჯერდები, ხომ უნდა მოვიკითხო, იმის პრობლემა გავიგო, დავინტერესდე, რჩევა მივცე,

ვკითხო, მე ხომ არ შემიძლია რამით დახმარება. აქტივიზმმა ეს უნარებიც გამიძლიერა“, – აღნიშნავს ის.

მთავარი ისაა, რაც სოფელს სჭირდება

ლიას 4 შვილი და 7 შვილიშვილი ჰყავს, თუმცა ყველა კომპლექსურ ოჯახის წევრებით ზრუნავს. ადგილობრივების დახმარება მისთვის ცხოვრების წესია. წლებია, სოფელში პენსიონერებსა და სოციალურად დაუცველებს ჯანდაცვის უფასო სერვისებით სარგებლობაში ეხმარება. შეკრებს ხოლმე ადამიანებს, რომლებსაც კვლევები სჭირდებათ და თბილისში, კლინიკებში ვიზიტს უორგანიზებს. ახლა სურს, შინმოვლის კურსი თავად გაიაროს, სერტიფიკატი აიღოს და პროექტში „ღირსეული სიბერე“ ჩაერთოს.

თანასოფლელები ყოველთვის ყველაფერს ლიას ეკითხებიან, თუ ვინმეს კოშკის ამბები აინტერესებს, პირდაპირ მასთან მიდის: „ვიღაცამ ხომ უნდა მიხედოს ამ ხალხს, ვის დაველოდო, როცა თავადაც შემიძლია“, – ამბობს ლია.

სოფლის საჭიროებებს მუდმივად სწავლობს, მერე კი იმ თემების ადვოკატირებას იწყებს, რომლებიც ადგილობრივებს სჭირდებათ. „ზოგმა იცის ხოლმე თქმა, ჩემს სახლთან გზა არ არისო. შენს სახლზე კი არა, სოფელში რა არის გასაკეთებელი, იმაზე უნდა იფიქრო“, – აღნიშნავს ის.

სწავლასა და განვითარებას სულ ცდილობს, რაშიც „მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელის წევრობაც ეხმარება. საკუთარ

იდეებს სხვა დევნილ და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ ქალებთან ერთად განიხილავს და მათ შეხედულებებს ისმენს. „თამრიკო საჩალელს შევეკითხები ხოლმე აზრს, მე ჩემსას ვეუბნები, ის – თავისას, მერე ლაპარაკში კიდევ ახალი იდეა გვიჩნდება და ასე, შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების გაზიარებითაც ვაძლიერებთ ერთმანეთს“, – ამბობს ლია.

ყავის დიპლომატი

ლია, რომელმაც ორი ომი გამოიარა, ფიქრობს, რომ კონფლიქტებმა ყველა მხარე დააზარალა, ტკივილის მოშუშებაში კი ქალებს უზარმაზარი როლის შესრულება შეუძლიათ: „ჩემი დედამთილის დები იქეთ ცხოვრობდნენ და ცხინვალის ომის მერე, დაძაბულობის დროსაც, გასვენებებში გადავდიოდი ხოლმე. განა უსაფრთხო იყო, მაგრამ მინდოდა, ოსებისთვის მეგრძნობინებინა, რომ იმათი ჭირი ჩემი ჭირიც იყო. ნეტავ, ისევ შემეძლოს იქაურ ქალებთან შეხვედრა. ერთად რომ დავსხდებოდით და ყავას დავლევდით, იქ ნდობაც მალე აღდგებოდა, ურთიერთობები განახლდებოდა, ერთმანეთს დავიცავდით, ახალ ხიდებს ავაგებდით“, – ამბობს ლია.

ხიდების აგებამდე კი სოფელში ქალების გააქტიურებაზე ზრუნავს. მიაჩნია, რომ მეტი განათლება და ცნობიერების ამაღლება საჭიროა, რათა მათ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების არ შეეშინდეთ და თავიანთი ჩართულობით საფუძველი ბევრ სასიკეთო ცვლილებას ჩაუყარონ.



სოფლის ელჩი

მანანა გოგნაძე

43 წლის,
შიდა ქართლის რეგიონი, ხაშურის
მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩორჩანა

მანანა გოგნაძე სოფელ ჩორჩანაში, საკუთარი სახლის ეზოში. სამსახურისა და მოხალისეობის გარდა, მანანა საოჯახო საქმეებს უძღვება, მიწასაც ამუშავებს და ძროხებს, ღორებს, თხებსა და კურდღლებსაც პატრონობს.

კადრი ბავშვობიდან

აგვისტოს ომის*** დროს, პირველი ბომბდაშმენის დანახვისთანავე, მანანა გოგნაძეს ბავშვობის დროინდელი, მძიმე კადრი გაახსენდა: სოხუმის ცაზე მოულოდნელად გამოჩენილი თვითმფრინავები და მებობლად მდგარი, ცეცხლის ალში გახვეული კორპუსი. მშობლიურ ქალაქს 10 წლის ასაკში დაემშვიდობა. ის და მისი ძმები ომს დედამ გაარიდა და ბოლო მატარებლით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეში, ბებიასთან წაიყვანა. მამა კი დარჩა და სოხუმის დაცემამდე** იბრძოდა. მანანა იხსენებს, რომ ოჯახში დიდხანს მის შესახებ არაფერი იცოდნენ და უგზო-უკვლოდ დაკარგულებში ეძებდნენ. მოგვიანებით გაიგეს, რომ მამამ, სხვა დევნილებთან ერთად, საკენ-ჭუბურის უღელტეხილზე, ფეხით, 9 დღის განმავლობაში იარა და სამშვიდობოს ასე გამოვიდა.

ახალ რეალობასთან შეგუება მარტივი არ ყოფილა. ეკონომიკურ სიდუხჭირეს, რომელშიც მაშინ მთელი ქვეყანა ცხოვრობდა, მანანასთვის სახლის მიტოვების ტკივილი და დევნილობის სტიგმაც ემატებოდა. „სამწუხაროდ, ჩვენ მიმართ ისეთი დამოკიდებულება იყო, რომ არც ვამხელდი, აფხაზეთიდან თუ ვიყავი, მრცხვენოდა. ძალიან ჩავიკეტე, ზედმეტად ხმას არ ვიღებდი. ბევრით მოსწავლეს, პირველ წელს სწავლაც გამიჭირდა. ამ წყვილიაღში ყველაზე მეტად დევნილებისთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარება მიხაროდა. ყუთის გახსნას მოუთმენლად ველოდი ხოლმე. ვიცოდი, მასში ტკბილეულიც იქნებოდა“, – ჰყვება მანანა.



მანანა გოგნაძე სოფელ ჩორჩანის საჯარო სკოლაში ქართული ცეკვის გაკვეთილს ატარებს. მისი გაკვეთილები და ჭიდაობის წრე ის მცირე აქტივობებია, რომლებზეც სიარულიც აქაურ ბავშვებს შეუძლიათ.

სკოლის დასრულების შემდეგ მანანამ ქალაქ რუსთავის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ჩააბარა. მერე ზვარეში დაბრუნდა და ქართული ცეკვის გაკვეთილების ჩატარება დაიწყო. მუშაობდა სტუმარმასპინძლობის სფეროშიც. 24 წლის ასაკში კი დაქორწინდა და საცხოვრებლად ჩორჩანაში გადავიდა – სოფელში, რომელიც უშუალოდ გამყოფ ხაზთან მდებარეობს.

სწავლება გაყოფს ხაზთან

აგვისტოს ომის დროს მანანამ თავი ისევ სოფელ ზვარეს შეაფარა. მაშინ უკვე 8 თვის ორსული იყო. ჩორჩანაში შემოდგომამდე, პატარასთან ერთად დაბრუნდა.

„სულ მეშინოდა მეორედ დევნილობის და ისე გამოვიდა, რომ 2008 წელს ეს სტრესი მაინც გავიარე. ახლა ჩემს ბავშვებზე მეშინია: არ მინ-

და, იგივე გამოცდილება მიიღონ“, – ამბობს ის.

მანანა ჩორჩანაში ქმართან, დედამთილსა და სამ შვილთან ერთად ცხოვრობს. საოჯახო საქმეების გარდა, მინასაც ამუშავებს და ძროხებს, ღორებს, თხებსა და კურდღლებსაც პატრონობს. პარალელურად, მეოთხე წელია, ჩორჩანის საჯარო სკოლაში ქართული ცეკვის გაკვეთილებს ატარებს, სასკოლო ლ-

„უიუთ სავსე ყოველდღიურებაში, რომელსაც უკვე შევიჩვიეთ კიდევ, ხშირად ვუიქრობ სოლვე – ღაე, აქედან ყოველთვის ისმოდეს არა სროლის, არამედ ქართული მუსიკის ხმა.“

— მანანა გოგნაძე

ნისძიებებისა და ზეიმებისთვის ნომრებს ამზადებს. აქაური ბავშვებისთვის აქტივობები მხოლოდ ჭიდაობის წრე და მანანას ცეკვის გაკვეთილებია.

„უარს არავის ვუბნები, ვისაც მოუნდება, ყველას ვიღებ. მოსწავლეების ანთებული თვალები მამბედნიერებს. ვგრძნობ, ამ დარბაზში როგორი თავისუფლები და თამაშები ხდებიან“, – ამბობს მანანა.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელში ცეკვის მასწავლებლობას სხვა დატვირთვაც აქვს: „შიშით სავსე ყოველდღიურობაში, რომელსაც უკვე შევიჩვიეთ კიდევ, ხშირად ვფიქრობ ხოლმე: დაე, აქედან ყოველთვის ისმოდეს არა სროლის, არამედ ქართული მუსიკის ხმა, ეს აზრი განსაკუთრებულ სტიმულსაც მძლევს“, – აღნიშნავს ის.

ჩორჩანელი ქალები აუსიღებლად აკეთებენ იმას, რასაც ჩაიფიქრებენ

სამსახურისა და დატვირთული ყოველდღიურობის მიუხედავად, მანანა მოხალისეობისთვისაც იცლის. 2019 წელს, როცა გაეროს ქალთა ორგანიზაციამ და ქალთა საინფორმაციო ცენტრმა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის

წესრიგის ლოკალიზაციის კომპონენტის განხორციელება ჩორჩანაში დაიწყო, ის ამ საქმიანობაშიც ჩაერთო. სხვა ქალებთან ერთად, მანანამ სოფელს არაერთი ცვლილება მოუტანა: გზა, რომელიც ყოველ ზამთარს ფუჭდებოდა, საბოლოოდ გაკეთდა, დამონტაჟდა გარე განათებები, დასრულდა ბუნებრივი აირის გაყვანა, ადგილობრივებს საკუთარი მინი წისქვილი აქვთ, რომელსაც აქტიურად იყენებენ, ჩორჩანამ მაღალმთიანი სოფლის სტატუსი მიიღო და დღეს შესაბამისი შეღავათებითაც სარგებლობს. მანანა ამბობს, რომ მათი ინიციატივებით ბევრი რამ მემობელ სოფლებშიც შეიცვალა.

„ისეთი გზები გვქონდა, თბილისში რომ მივდიოდით, ქალებს ჩანთებით კალოშები მიგვქონდა, უკან დაბრუნებისას აქაურ ტალახში რომ ჩაგვეცვა. მერე ინციდენტების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ჩვენი საჭიროებების ადვოკატირება ძალიან დაგვეხმარა. მე ყველას ვესწრებოდი და სოფლის პრობლემებზე ყოველთვის ხმამაღლა ვლაპარაკობდი“, – ამბობს მანანა.

ერთ მუშტად შეკრული ჩორჩანელი ქალებისთვის ცვლილებების გზა მარტივი

არ ყოფილა. ზოგჯერ იმასაც ეუბნებოდნენ, თქვენი აქტიურობით რამე არ გააფუჭოთო, ახლა კი მიღწეული შედეგებით ყველა კმაყოფილია. აქაურები ხშირად ამბობენ, რომ ჩორჩანელი ქალები აუცილებლად აკეთებენ იმას, რასაც ჩაიფიქრებენ.

„ჩვენ თუ არ შევასხენეთ, რა სჭირდება სოფელს და რა გვინდა, ვინ მოვა და მოგვიკითხავს? ერთხელ თქმითაც არაფერი გამოდის, ბევრჯერ უნდა ვთქვათ, სულ უნდა გავასხენოთ, ვინ ვართ, აქაც რომ ვცხოვრობთ. ამას მარტო ჩვენთვის არ ვითხოვთ: თუ სოფელში ძლიერები ვიქნებით, ქალაქელებსაც მეტად შევუწყობთ ხელს“, – ამბობს მანანა.

სოფელს ქალები ამაგრებენ

„მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების ქსელის“ წევრობამ მანანა სრულიად შეცვალა, მისი ცხოვრება კი განსხვავებული გახდა. „ამ ტრენინგებმა და შეხვედრებმა ყოველდღიური რუტინიდან გამომიყვანა, საკუთარ თავში ლიდერი აღმომაჩინა. ჩორჩანას გაცილებული არ ვიყავი და უცებ ელჩები გავიცანი, მეც უკვე სოფლის ელჩს მეძახიან. განა, ეს დიდი სტიმული არ არის? ჩემნაირი ქალისთვის, რომელიც ყოველ დღილას ექვსის ნახევარზე დგება და ბოსელში, ძროხის წველისას ფხიზლდება, ამას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს“, – აღნიშნავს ის.

ფიქრობს, რომ ქალები, სოფლების საჭიროებების უკეთ გაგებითა და გააზრებით, ადამიანების მოსმენითა და აქტივიზმით, ბევრ რამეს ცვლიან, მათ შორის, მშვიდობის მშენებლობაშიც.



„მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელის წევრი მანანა გოგნაძე აფხაზეთიდან დევნილია. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელში, ჩორჩანაში, სხვა ქალებთან ერთად, მანანა ადგილობრივებისთვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე მოხალისეობრივად მუშაობს.

„დღეს ჩორჩანელი ქალები ჩვენი ცხოვრებით, აქ ყოფნითა და აქტიურობით სოფელს ვამაგრებთ, რაც ძალიან მუშაობს. თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი ვერ აცნობიერებს, რამდენად ღირებულია ეს როლი“, – ამბობს ის.

მანანა უკვე სათემო მუშაკია. თვითდახმარების ჯგუფს ხელმძღვანელობს და, სათემო ინიციატივებთან ერთად, მუშაობას წყლისა და ინტერნეტის პრობლემების მოგვარებაზე აგრძელებს. სოფლის ელჩს წინ კიდევ ბევრი გეგმა აქვს.



დეჰნილი ქალბის ხმა მნიშვნელოვანია, მათ უნდა მოუსმინონ

ნონა გვაძაბია

60 წლის,
იმერეთის რეგიონი,
ქალაქი ქუთაისი

60 წლის ნონა გვაძაბია „მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელის წევრია. ის ქუთაისში, დეჰნილთა დასახლებაში ცხოვრობს და მათი ყოველდღიურობის გაუმჯობესებისთვის მობალისეობრივად მუშაობს.

გამომწვივება

„აფხაზეთში ზედ ზღვის პირას ვცხოვრობდით. იქაური ნათესავებიც გვყავდა. მამა რომ ავად გახდა, მოსანახულებლად გვესტუმრნენ. წასვლისას კი ისე დაგვემშვიდობნენ, მივხვდით: ეს გამომშვიდობება უფრო იყო. გრძობდნენ, რომ ომი** დაიწყებოდა. ჩვენ კი ყველაფერი ძალიან გვიან გავაცნობიერეთ“, – ნონა გვაძაბია იმ დროს იხსენებს, როცა მისი ოჯახის წევრებს ჯერ კიდევ არ ეგონათ, სახლის დატოვება და დევნილობა თუ მოუწევდათ.

27 სექტემბერი რომ დადგა და გულრიფშიდან ტყვიებით განათებული სოხუმის ცა დაინახა, მიხვდა, უნდა წასულიყვნენ. გარეთ უკვე მეზობლების ჩოჩქოლი ისმოდა, ხალხი გასაქცევად ემზადებოდა. ნონამ, მისმა ორმა დამ და დედამ ძლივს მოახერხეს, რომ ავადმყოფი მამა მისაბმელიანი ტრაქტორით სამშვიდობოს გაეყვანათ.

„მხოლოდ რამდენიმე სურათი გამოვიყოლე, სხვა არაფერი, მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ მამა მომყავდა. რა უცნაურია არა? ზოგი გვეუბნებოდა, რა დროს ლოგინად ჩავარდნილ კაცზე ფიქრიაო. უკუნ ღამესა და სროლების ხმაში მოვდიოდით. აღმოჩნდა, რომ გამოვასწარით: მეორე დილას იქ, სადაც ვცხოვრობდით, უამრავი ადამიანი დაილუპა“, – ჰყვება ნონა.

სამეგრელოში, სოფელ რუხში, ორი დღის შემდეგ ჩამოვიდნენ. ნონა მაშინ 28 წლის იყო. ივანოვოს საფეიქრო ინსტიტუტი და სენაკის ხალიჩების კომბინატის სასწავლებელი უკვე დამთავრებული ჰქონდა, ამიტომ როცა

შესთავაზეს, დასთან ერთად საცხოვრებლად ქუთაისში გადავიდა და მუშაობა ელექტრომექანიკურ ქარხანაში, ხალიჩების მქსოველად დაიწყო.

„პირველი საქსოვი მანქანა საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ გადმომცა, მაგრამ ვის ჰქონდა მაშინ ჩემი ხალიჩების ყიდვის ფული. ხალხს შიოდა. უმძიმესი დრო იყო, თუმცა ნელ-ნელა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და კერძო შეკვეთების მიღება დავიწყე“, – ამბობს ნონა, რომელიც ახლაც მენარმეა, ტყავის აქსესუარებს ამზადებს და „უზარელის“ ბრენდით ყიდის.

საკუთარი ღირსი

ნონას მეუღლეც აფხაზეთიდან დევნილია, სოხუმიდან. სახლი, სადაც ცხოვრობენ, 2003 წელს მიიღეს. ეს დასახლება ქუთაისში ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით აშენდა. მანამდე ამ ადგილას მხოლოდ ტრიალი მინდორი იყო: არც ხეები იდგა და არც ბაღები ხარობდა.

„მახსოვს, 14 ოჯახს, რომლებიც პირველად გადმოვიდით, საჩუქრად 8 ნერგი გადმოგვცეს. ყველა გავახარეთ. მერეც მცენარეებს სულ ვამატებდით. აქაურობას საკუთარი ხელითა და ძალებით ვუვლიდით, ვალაგებდით. გვიხაროდა, რომ ამდენწლიანი ქირით ცხოვრების შემდეგ საკუთარი ჯერი გვეღირსა. დევნილებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თანდათან სხვა ოჯახებიც შემოგვემატნენ და ახლა უკვე 150 ადამიანამდე ვართ“, – ამბობს ნონა.



ნონა გვაძაბიას აქტიურობით, დევნილთა დასახლებას ხელსაწყოები გადაეცა. ახლა ადგილობრივები მაღალ ბაღებს უკვე თავად თიბავენ და გარემოსაც უკეთ უვლიან. აქ მცხოვრები ბავშვებისთვის კი გარეთ თამაში გაცილებით უსაფრთხოა.

„ აქ გავიბე და გავითავისე, რომ არ უნდა დაჰყავდა, არ გვარდებოდა ჩემი პრობლემა, თუ თავად არ ვიქნებოდა. “

— ნონა გვაძაბია



ნონა გვაძაბია, სხვა ადგილობრივ ქალებთან ერთად, დევნილთა დასახლებაში საჭირო ინფორმაციის გავრცელებაზე აქტიურად მუშაობს.

დევნილების ხმა

საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ ქალთა ფონდ „სოხუმის“ დამაარსებლებს ნონა ჯერ კიდევ აფხაზეთიდან იცნობდა. მათ ინიციატივებშიც არაერთხელ ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, ამიტომ 3 წლის წინ, როცა გაიგო, რომ გაეროს

ქალთა ორგანიზაციის პროექტით დევნილების საჭიროებების კვლევა იგეგმებოდა, მაშინვე დაინტერესდა. მერე სხვა ქალებიც შემოიკრიბა და ამ კვლევაში ჩაერთო.

აღმოჩნდა, რომ დასახლებაში ყველაზე მეტად გადაადგილების პრობ-

ლემა აწუხებდათ: ცენტრალურ მაგისტრალთან მისასვლელი ასფალტი იმდენად იყო გაფუჭებული, რომ მოსახლეობას შემოვლითი გზით უწევდა სარგებლობა. ხშირად მაღალ ბალახში ქვეწარმავლებიც ჩნდებოდნენ, ამიტომ გარემოს მოსავლელად შესაბამისი ინვენტარიც ძალიან სჭირდებოდათ. ამას გარდა, ნესტი, რომელიც დასავლეთ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი, სახლებში წლების წინ დაგებულ ხის იატაკებსაც აზიანებდა და მაცხოვრებლების ჯანმრთელობასაც.

საჭიროებების კვლევის შემდეგ ნონამ განცხადებები დაწერა, ხელმოწერები შეაგროვა და შესაბამის უწყებებში წარადგინა. ქალების აქტიურობით, დღეს უკვე 5 ოჯახში ხის ნაცვლად, ბეტონის იატაკია და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება. გადაეცათ ხელსაწყოებიც, ამიტომ მაღალ ბალახს უკვე თავად თიბავენ, გარემოს უკეთ უვლიან და ბავშვებისთვისაც გარეთ თამაში გაცილებით უსაფრთხოა. დაუმონტაჟდათ დამატებითი განათებაც.

„ახალგაზრდებს ტრენაჟორები უნდათ, თუმცა პატარა სათამაშო მოედანიც არ იქნებოდა ურიგო. ასეთი სივრცეც აუცილებელია, მაგრამ ახლა გზაა ჩვენი მთავარი პრიორიტეტი. ვმუშაობთ, რომ ეს პრობლემაც მოვაგვაროთ“, – ამბობს ნონა.

„მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელს ნონა ჩამოყალიბებისთანავე შეუერთდა. ამ დასახლებიდან განევრიანებული მხოლოდ თვითონაა, თუმცა სულ მხარს უჭერს

და ეხმარება 10-მდე ქალი, რომლებიც დასახლებაში შეკრიბა. კონკრეტული ინიციატივების გარდა, ინფორმაციის გავრცელებისთვისაც ბევრს მუშაობენ: ადგილობრივებს უამრავი შეკითხვა აქვთ და დაკვალიანებაც ხშირად სჭირდებათ.

„ვამაყობ ამ ქალებით, გუნდურობით, რომლითაც ჩვენი დასახლებისთვის კეთილდღეობა მოგვაქვს“, – ამბობს ნონა და დასძენს, რომ შემართებასა და მოტივაციის ამაღლებაში „მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელი ძალიან დაეხმარა: „ჩვენი შეხვედრების გარეშე ფარ-ხმალს დაგყრიდი. აქ გავიგე და გავითავისე, რომ არ უნდა დავნებდე, არ გვარდება ჩემი პრობლემა, თუ თავად არ ვიაქტიურე“, – აღნიშნავს ის.

ფიქრობს, რომ ქსელის არსებობა, მისი წევრების შემართება აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დევნილი ქალების ხმა, ამიტომ მათ უნდა მოუსმინონ, ყურადღება მიაქციონ.

საკვირი უნდა მოუხუფეს

„ომის შემდეგ აფხაზები პირველად ქუთაისში ვნახე. მკურნალობდნენ. ისეთი განცდა მქონდა, რომ ჩემთვის ძალიან ახლობლები იყვნენ. თან უზარმაზარი ტკივილიც ვიგრძენი. სულ ასე ხომ ვერ იქნება, უნდა მოშუშდეს ეს ტკივილი აუცილებლად და შვილებიც, ჩვენი მომავალი თაობა, მხოლოდ ამ გრძნობით გავზარდოთ“, – აღნიშნავს ნონა და ფიქრობს, რომ ურთიერთობისა და ნდობის აღდგენისთვის პატიებაა საჭირო.



ქრისტინა ქუთათელაძე წყალტუბოს დევნილთა დასახლების ეზოში. ქრისტინა აქ დედასა და ორ შვილთან ერთად ცხოვრობს.

დიდი შედეგებისკენ პატარა ნაბიჯებსა და მიზანს მივყავართ

ქრისტინა ქუთათელაძე

36 წლის, იმერეთის რეგიონი, ქალაქი წყალტუბო აქტივისტი მასწავლებელი

აქტივისტი მასწავლებელი

ყოველთვის, როცა თბილისში ჩამოდიხარ, ქრისტინა ქუთათელაძე საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული გმირების მემორიალთან მიდიხარ – მონუმენტთან, რომელზეც მისი მამისა და ბიძის სახელები წერია.

„აფხაზეთის ომში** იბრძოდნენ და უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ. ბევრჯერ ჩავაბარე დნმ-ის ტესტი, მაგრამ არაფერი გარკვეულა. მხოლოდ ეს მემორიალი მაქვს, მათ ხსოვნას პატივი რომ მივავაგო“, – ჰყვება ქრისტინა.

მამა ბუნდოვნად ახსოვს. 3 წლის იყო, როცა ომი დაიწყო და დედამ საფრთხეს თბილისში გამოარჩიდა, თუმცა მალევე წყალტუბოში, თავის მშობლიურ მხარეში წაიყვანა, რადგან დედაქალაქში ცხოვრება გაუჭირდა. ნათესავები დაეხმარნენ, რომ დევნილებისთვის გამოყოფილ სანატორიუმში პატარა ფართი მიეღოთ და ახალი ცხოვრება დაეწყო.

ქრისტინა ბავშვობიდან მოხალისეა. ჯერ კიდევ მერვე კლასში იყო, როცა საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ფონ-

დის, „აფხაზეთის“ ინიციატივებში ჩაერთო და სხვადასხვა სასწავლო კლუბში განეწიანდა. იმ პერიოდმა მისი მომავალიც განსაზღვრა: პროფესიით ინგლისური ენის მასწავლებელმა, საკუთარი საქმიანობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას დაუკავშირა.

2019 წელს ქრისტინამ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ვებპროგრამირებისა და სოციალური მედია მარკეტინგის სასწავლო პროგრამა გაიარა. პროფესია შეიცვალა და ახლა წყალტუბოს ორ სკოლაში კომპიუტერულ ტექნოლოგიებს ასწავლის.

„ხომ იცით, სულ არის არასწორი წარმოდგენა, რომ ტექნოლოგიები ბიჭებს უფრო გამოსდით, ამიტომ ყოველთვის მინდა, გოგონები მეტად იყვნენ გაკვეთილებზე ჩართულები“, – ამბობს ის.

პარალელურად, საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ ქალთა ფონდ „სოხუმთან“ თანამშრომლობს: დევნილ ქალთა საინიციატივო ქსელის წარმომადგენელი და წყალტუბოს ქალთა ქსელის ხელმ-

„ რასაც ვაკეთებ, სულ დავნიღბავ. იცინავ, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ მომხმარებონ, ყველაფერს გადავღებ და მათ სჩვენებ მივხედავ.“

— ქრისტინა ქუთათელაძე

ძღვანელია, თვითდახმარების ჯგუფების წევრ ქალებს კი ციფრულ წიგნიერებას ასწავლის.

როსა ყვარას ექიმობა

ქრისტინა დედასა და ორ შვილთან ერთად, წყალტუბოში ცხოვრობს. აფხაზეთის ქუჩაზე, სადაც დევნილებისთვის ახალი კორპუსები აშენდა, ბინა მანაც მიიღო. მისი მოხალისეობრივი საქმიანობაც უმეტესად ამ დასახლებას უკავშირდება.

„2018 წელს, გერმანიაში, ამხანაგობის თავმჯდომარეობის ტრენინგები გავიარე. იქ აღმოვაჩინე, რას ნიშნავს მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, როგორ იმართება ამხანაგობის პროცესები. რომ დავბრუნდი, 20-მდე ქალი გავაერთიანე და საინიციატივო ჯგუფი შევქმენი, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებაშიც ჩავერთეთ“, – ჰყვება ქრისტინა.

ჯგუფის პირველი საქმიანობა დევნილთა დასახლების საჭიროებების შესწავლა იყო. ქალებმა ყველა ოჯახის პრობლემები იკვლიეს, პრიორიტეტები დასახეს და ადვოკატირების პროცესიც წამოიწყეს. მათმა აქტიურობამ შედეგი მაღევე გამოიღო.

„ეს პრობლემები ხომ მოვაცვარეთ და თან საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ ქალთა ფონდ „სოხუმისგან“ მცირე გრანტების მივიღეთ. ამ თანხებით კორპუსებში საინფორმაციო დაფები გავაკარით, რომლებზეც ყველა საჭირო ნომერი დავიტანეთ. მათ შორის ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებელი ცხელი ხაზი



ქრისტინა ქუთათელაძე საკუთარი კორპუსის სადარბაზოსთან, მეზობლებთან ერთად. ქრისტინა ამ დასახლებაში ყველას დამხმარე და იმეღია.

116 006-ც წერია. თანხის ნაწილით ნერგები და ეზოს მოსავლელი ინვენტარი ვიყიდეთ, აქაურობა გავამწვანეთ, გავასუფთავეთ. ასეთი მცირე ინიციატივები სინამდვილეში ძალიან მნიშვნელოვანია“, - აღნიშნავს ქრისტინა.

ახლა დასახლებაში მთავარი საფიქრალი სინესტეა, რომელიც ადამიანების ჯანმრთელობას იმდენად დიდ საფრთხეს უქმნის, რომ ბევრი საცხოვრებელსაც ტოვებს. ქრისტინას იმედი აქვს, რომ მალე ამ პრობლემის მოგვარებასაც შეძლებენ.

„ფარ-ხმალი არ უნდა დავყაროთ. განა მე არ ვიღლები? ზოგჯერ ისე ვარ, ვფიქრობ, ყველაფერს თავი დავანებო, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე წუთს გრძელდება. დედა მე უბნება ხოლმე, მამაშენიც ასე იყო, სხვების დახმარება უხაროდაო. რასაც ვაკეთებ, სულ დევნილებისთვის. იციან, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ მომმართონ, ყველაფერს გადავდებ და მათ საქმეს მივხედავ. რა შეიძლება იყოს იმაზე ძლიერი მოტივაცია, როცა ხედავ, რომ ყველას ეიმედები“, - ამბობს ქრისტინა.

ქალების ერთობას სვლილებები მოაქვს

გარემოში, სადაც ქრისტინა ცხოვრობს, საზოგადოების დიდ ნაწილს კვლავაც ჰგონია, რომ ქალი მხოლოდ საოჯახო საქმეებით უნდა შემოიფარგლოს, ამიტომ აქ მოხალისეობა მართივი არ არის: თუ ცვლილებების მიღწევა გინდა, ბევრი სტერეოტიპის გადალახვაც გინევს.

„საშინაო შრომის გადანაწილებაც დიდი თავსატეხია. ვებპროგრამირებას რომ ვსწავლობდი, მეუბნებოდნენ, ტყუილად დადიხარ, სჯობს, ეგ დრო ბავშვებს მოახმარო. მე დედა მეხმარება, ჩემს საქმეს ინანილებს, მაგრამ ყველას ხომ არ ჰყავს დამტოვებელი, თუნდაც ერთ ტრენინგს რომ დაესწროს? შენ ნახვიდე, სასტუმროში გაერთო და შვილებს მე მივხედო? - აი, ამას ეუბნებიან ხოლმე ქალებს ქმრები“, - ჰყვება ქრისტინა.

იცის, რომ პროგრესი მაინც ერთობას მოაქვს და როცა შრომა ნაყოფს გამოიღებს, სტერეოტიპები და სკეპტიციზმი პატივისცემით იცვლება. „20 ქალი კარგია, მაგრამ 200 უკეთესი იქნებოდა“, - აღნიშნავს ის. ამ მიზნის მისაღწევად კი ცდილობს, თავადაც მაგალითის მიმცემი იყოს, ბევრი თანამოაზრე გაიჩინოს.

„სულ ვუბნები ხოლმე ქალებს, არა უშავს, ჩემთვისაც რთულია, მაგრამ მაინც ვაკეთებ. ბოლომდე უნდა მივყვეთ, თუნდაც მცირედი გავაკეთოთ, რადგან დიდ შედეგებამდე პატარა ნაბიჯებსაც მივყავართ. სხვათა შორის, ძალიან შეიცვალნენ, როცა ლაპარაკობენ, სიამაყით ვუსმენ“, - აღნიშნავს ქრისტინა.

„მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელის მუშაობაში მისი დაფუძნების დღიდან აქტიურადაა ჩართული. ქალების ერთობა იქ ყველაზე თვალსაჩინოა: „ახლა უკვე ჩემიანი ყველა კუთხეში მეგულება. ზოგადად, წევრ ქალებს ერთმანეთი გვეკულება. თანამოაზრეები ვართ“, - ამბობს ის.



36 წლის ქრისტინა ქუთათელაძე „მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელის წევრია. ის წყალტუბოს დევნილთა დასახლებაში მცხოვრები ადამიანებისთვის სხვადასხვა ინიციატივას მოხალისეობრივად ახორციელებს.

მოთავაზე ფიქრი ყველა მხარეს ანითიანებს

ომგამოვლილ ადამიანებს მსგავსი ტკივილი აქვთ, თუმცა, ამ ტკივილთან ერთად, მათ მომავალზე ფიქრიც აერთიანებთ. „ყველას თავისი შვილისთვის მშვიდობა სურს, განსაკუთრებით დედებს. მჯერა, ეს ქალები რომ მოლა-

პარაკების მაგიდასთან დასხდნენ, მეტი ემპათიაც ექნებათ და უფრო ხელშესახებ შედეგებსაც მიაღწევენ“, - დასძენს ქრისტინა.

ფიქრობს, რომ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, ქალების მიმართ არასწორი დამოკიდებულებები შეიცვალოს, მათი ხმა კი დაფასებული იყოს.



გადაწყვეტილების მიღების მაგიდასთან ქალების ადგილი ყოველთვის უნდა იყოს

ნუკა კაკაურიძე

32 წლის,
იმერეთის რეგიონი,
ქალაქი წყალტუბო

32 წლის ნუკა კაკაურიძე წყალტუბოს დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს. ის „მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელის წევრია და ადგილობრივების კეთილდღეობაზე ზრუნავს.

დევენილის ცხოვრებით ცხოვრება

წყალტუბოს ერთ-ერთი სანატორიუმის კარი, სადაც მისი აფხაზეთიდან დევნილი** ქმრის ოჯახი წლების განმავლობაში ცხოვრობდა, ნუკა კაკაურიძემ დაქორწინების შემდეგ პირველად შეაღო.

„ზესტაფონში გავიზარდე და ვერც წარმომედგინა, ადამიანებს ასეთ რთულ პირობებში თუ უწევდათ ყოფნა. ჩაბნელებული დერეფნები, დაზიანებული კედლები, აყრილი იატაკი – ეს რომ დავინახე, შოკირებული ვიყავი. ნანახმა გადამაწყვეტინა, ამ მძიმე რეალობის შესაცვლელად აუცილებლად მებრძოლა“, – იხსენებს ნუკა.

აღმოჩნდა, რომ დევნილები ბინების მიღებას ელოდებოდნენ, თუმცა არავინ იცოდა, ეს როდის მოხდებოდა. ნუკა მიხვდა, რომ მხოლოდ ლოდინის იმედად არ უნდა ყოფილიყო, შესაბამისი უწყებები მოიძია, მეზობლებთან ერთად განცხადება დაწერა და ხელმოწერები შეაგროვა. მერე სანატორიუმში არსებული მძიმე პირობები ჟურნალისტებს გააცნო, მოიპოვა ექსპერტული დასკვნაც, რომელიც ადასტურებდა, რომ იქ ცხოვრება ადამიანებისთვის სახიფათო იყო.

„ამ პერიოდში დავორსულდი კიდევ. პირველ შვილს ველოდებოდი და აქტიურობას უზარმაზარი მუცლით ვაგრძელებდი. საქმე იმაში იყო, რომ დევნილებისთვის განკუთვნილი კორპუსების მშენებლობა ჭიანურდებოდა. ჩვენ კი პროცესის დაჩქარებას ვცდილობდით, რაც საბოლოოდ გამოგვივიდა კიდევ“, – ამბობს ნუკა, რომე-

ლიც ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ბინა მიიღო და სანატორიუმის მძიმე პირობები დატოვა.

ქალები ერთმანეთს განვითარებაში უხმარაბიან

ამჟამად ნუკა უკვე აფხაზეთის ქუჩაზე, დევნილების ახალ ჩასახლებაში, მეუღლესა და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს. პროფესიით ტურიზმის სპეციალისტია და თავისი საქმე ძალიან უყვარს. მოსწონს, როცა უცხოელებს საკუთარ ქვეყანას აცნობს. სტუდენტობისას გერმანიაში საზაფხულო სამუშაოებზე მიღებულ გამოცდილებას ის ახლა უკვე სამშობლოში, სტუმარმასპინძლობის სფეროში იყენებს.

„ბინა რომ მივიღეთ, მერე პროფესიულ რეალიზებაზეც აქტიურად დავფიქრდი. მინდოდა, ისეთი საქმე წამომეჩვენებოდა, ტურიზმთან რომ იქნებოდა ახლოს. ამასობაში ცირა ჯუღელს დავუმეგობრდი – აფხაზეთიდან დევნილ ქალს, რომელიც მეზობლად ცხოვრობდა. როცა სამასპინძლო სივრცის შექმნის იდეა გავუზიარე, გადაწყვიტეთ, ჩანაფიქრი სისრულეში ერთად მოგვეყვანა“, – ჰყვება ნუკა.

მალევე მეგობრებმა ტურისტულ ზონაში, პრომეთეს მღვიმესთან ახლოს, პატარა ფართი შეიძინეს, საკუთარი ხელით დაასუფთავეს, მოაწესრიგეს და საკვები და დასასვენებელი სივრცე „ორმუხა“ გახსნეს.

სწორედ იმ დროს ქრისტინე ქუთათელაძემ დაურეკა. წყალტუბოს ქალთა ქსელის ხელმძღვანელმა, რომელიც მის მეზობლად ცხოვრობს და



ნუკა კაკაურიძე საკვები და დასასვენებელი სივრცის, „ორმუხას“ ეზოში, რომელსაც ის მეგობართან ერთად უძღვება.

„განვითარებისთვის სწორედ ისაა მნიშვნელოვანი, რომ ქალების გეგმარა და გეგმარა, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გავაცნობიერო და უკეთესობისკენ ცვლილებაში ჩივი წვლილი აუხილებლად შევიტანო.“

– ნუკა კაკაურიძე

გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ ქალთა ფონდ „სოხუმის“ ახალი ინიციატივის შესახებ უამბო. „მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელით ნუკა მაშინვე დაინტერესდა და ტრენინგებშიც ჩაერთო.

„მასხოვს, პირველ შეხვედრაზე სრულიად გამოუცდელი, დაძაბული ვიჯექი და ვფიქრობდი, ჩემი ჯერი რომ მოვა, რა მოვყვე, რა ვთქვა-მეთქი. ახლა კი ბევრად გამბედავი და საკუთარ ძალებში დარწმუნებული ვარ. ვისწავლე, როგორც მოქალაქეს, რისი უფლება მაქვს. ამ შეხვედრებმა გამიმყარა განცდა, რომ წინ უნდა ვიარო, რადგან შეჩერების საშუალებას ქსელის წევრი სხვა ქალებიც არ მომცემენ“, – აღნიშნავს ნუკა.

ტრენინგები, რომლებიც ქსელის ფარგლებში გაიარა, პიროვნული უნარების გაუმჯობესებაშიც დაეხმარა. ცდა არ დააკლო, სხვა პროექტებშიც ჩაერთო და ბიზნესის განვითარებისთვის მცირე დაფინანსებებიც მიიღო.

ახლა ნუკა დევნილების საჭიროებებს ქრისტიანასთან ერთად სწავლობს. მისი და სხვა ქალების დამსახურებით, დასახლებაში საბავშვო ბაღიც აშენდა და გაყვანილობებიც მოწესრიგდა, თუმცა მუშაობა გრძელდება: „კედლები უნდა შეიფუთოს, თორემ აქ ძალიან დიდი ნესტია. ამაზე ზრუნვას არ ვწყვეტ“, – აღნიშნავს ის.

ქალების გამო, ან უნდა გაჩნდეს

ნუკა ამბობს, რომ ქალების შესაძლებლობების მიმართ უნდობლობა კვლავაც არსებობს. ადამიანების ნა-

წილი მცდარად ფიქრობს, რომ მონაწილეობრივ საქმიანობას დიდი ფინანსური შემოსავალი მოაქვს, ნაწილი კი მათ აქტიურობას შეუფერებლად მიიჩნევს. „იტყვიან ხოლმე, ქალი ხარ და გაჩერდი, შენ ეს არ გეკითხებაო. გამიმართლა, მეუღლეც მხარს მიჭერს და მეც სულ შემოვუძახებ ხოლმე საკუთარ თავს. განვითარებისთვის სწორედ ისაა მნიშვნელოვანი, რომ ქალების გამო არ გავჩერდე, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გავაცნობიერო და უკეთესობისკენ ცვლილებებში ჩემი წვლილი აუცილებლად შევიტანო“, – აღნიშნავს ნუკა.

ამ გზის გაგრძელებისთვის ნუკა განსაკუთრებულ მოტივაციას სწორედ ქსელის შეხვედრებზე, სხვა ქალების გამოცდილებების მოსმენით იღებს. „სახლში რომ ვბრუნდები ხოლმე, ისეთი ენერჯით ვარ სავსე, ახალი ნაბიჯების დაგეგმვას ვინწყებ. ვხვდები, რომ მეტიც შემიძლია“, – აღნიშნავს ნუკა.

ფიქრობს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც მიაღწია, სხვა ქალების ცვლილებაა. ხედავს, რომ მიზანდასახულები გახდნენ, საოჯახო საქმეების კეთების გარდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაერთნენ, საკუთარი ძალების ირწმუნეს. „მანამდე ამბობდნენ ხოლმე, არ შეგვიძლიაო, მაგრამ ჩვენი აქტიურობით, ინიციატივებში ჩართულობით, დავანახეთ, რომ მათი სიტყვა და საქმეც მნიშვნელოვანია. ამით ძალიან ვამაყო“, – ამბობს ნუკა.



ნუკა კვაკაურიძე დევნილების საჭიროებებს მუდმივად სწავლობს. მისი და სხვა ქალების დამსახურებით, დასახლებაში საბავშვო ბაღიც აშენდა და გაყვანილობებიც მოწესრიგდა.

ქალებმა საკუთარი უმჯობესიანი ჩაიღიჯა უნდა შეძლონ

ქალების ჩართულობა ნებისმიერ, მათ შორის უსაფრთხოებისა და მშვიდობის საკითხებში ყოველთვის უკეთესი შედეგის მომტანია. „მეტი რეფორმა და შე-

საძლებლობაა საჭირო, რომ ქალებმა საკუთარი პოტენციალის რეალიზება შეძლონ“, – ამბობს ნუკა და ფიქრობს, რომ ქალების ადგილი გადანწყვეტილების მიღების მაგიდასთან ყოველთვის უნდა იყოს.

აფხაზეთიდან დევნილი, 59 წლის ნაზი ლობჯანიძე ხონის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს. ის „მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელის წევრია.



თუ ქალები ფხიზლად არიან, ბევრი რამ კეთდება

ნაზი ლობჯანიძე

59 წლის, იმერეთის რეგიონი, ქალაქი ხონი

ფილმში ნანახი მოიქან ნაიანი მოაზრე

27 სექტემბრის ღამეს, სოხუმი რომ დაეცა**, ნაზი ლობჯანიძემ შვილები გააღვიძა და წასაყვანად მოამზადა. გოგოები მაშინ 3 და 4 წლისები იყვნენ. ჯერ ვერაფერს ხვდებოდნენ და მხოლოდ მეზობლად მცხოვრებ პატარა ბიჭს კითხულობდნენ: ჩვენ თუ მივდივართ, სერიოზუა რატომ რჩებაო. „დღემდე ახსოვთ, მაშინ როგორი ხმით ვუთხარი, ქართველები რომ ვართ, იმიტომ მივდივართ-მეთქი. მართლა ასე იყო“, - იხსენებს ნაზი.

ეგონა, სამშვიდობოს ძალიან მალე გავიდოდა, ამიტომ მხოლოდ მცირე საგზალი მოამზადა. „ვფიქრობდი, რომ უღელტეხილს 2 დღეში გადავივლიდით, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასე არ იყო. მე და ჩემმა ქმარმა, პატარა ბავშვებით, მთებში, 1 კვირა ფეხით ვიარეთ. გოგოებს ხის ძირში ვაძინებდით, რომ მოშივდებოდით, ჩაისთვის წყალს ცეცხლზე ვადულებდით. ახლაც ვფიქრობ, რომ ღმერთმა გადაგვარჩინა. იმ გზაზე მაშინ ბევრი უბრალოდ გაიყინა“, - იხსენებს ნაზი.

აფხაზეთის ომამდე გულრიფშის რაიონის სოფელ ოქტომბერში ცხოვრობდა. სხვა დევნილებთან ერთად, საკენ-ჭუბერის უღელტეხილი რომ გადმოიარა, 27 წლის იყო. თან არაფერი წამოუღია. ფიქრობდა, რომ უკან ძალიან მალე დაბრუნდებოდა. წამოვიდნენ ნაზის ძმებიც და ქმრის ოჯახის წევრებიც. სოფელ წებელდაში, სადაც იბრძებოდა, მხოლოდ მისი დედ-მამა დარჩა. უკვე ასაკში ვართ, ვის რას ვუშავებთ, ვიქნებითო,- უთხრეს შვილებს.

„სამეგრელოში ავტობუსები და მანქანები გველოდებოდა. ჯერ ზესტაფონში წაგვიყვანეს. ადგილს რას დავეძებდით, ოღონდ როგორმე სადმე მიგვეღწია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იქ სასტუმრო უკვე გადავსებული იყო და გზა ჭიათურისკენ გავაგრძელეთ. ამასობაში ძმები დამეკარგნენ, მათ მოგვიანებით, ხონის დევნილთა ჩასახლებაში მივაგენი“, - ჰყვება ნაზი.

2 წლის განმავლობაში ჭიათურის სასტუმროს 1 ოთახში ცხოვრობდნენ. ნაზი იქვე დიასახლისად მუშაობდა. მშობლების ტრაგედიის ამბავიც მაშინ შეიტყო. „ჩემი ძმისგან გავიგე, რომ დედ-მამა ცოცხლად დავინვეს, გამოკეტეს სახლში, რომელიც ვერ მიატოვეს და ცეცხლი წაუკიდეს. დიდი ხნის განმავლობაში ეს საზარელი სცენა მაღვიძებდა. ვიცი, რომ ეზოში არიან დამარხულები, მაგრამ მათ საფლავებზე ვერ მივდივარ. 30 წელია, დედ-მამას ზეპირად ვტირი“, - ჰყვება ნაზი.

ამ ამბის შემდეგ ძმებთან ახლოს ყოფნა არჩია, თავადაც ხონის დევნილთა დასახლებაში გადავიდა და მალევე სამსახურიც მოძებნა. „პროფესიით აგრონომი ვარ, აფხაზეთში ჩემი სპეციალობით ვმუშაობდი. ხონში კი, ჩემი თანაკურსელის დახმარებით, თავდაცვის სამინისტროს მეორე ბრიგადაში საქმის მწარმოებლად დავინწყე მუშაობა, მერე საიდუმლო ნაწილის მკოდირებელიც ვიყავი. 10 წელი ვიმსახურე, მასტერ სერჟანტის წოდებაც მივიღე, შემდეგ კი, ჩვენი ნაწილი ქუთაისში რომ გადავიდა, აღარ გავაგრძელე. უკვე დასვენება მიწოდდა“, - ამბობს ნაზი.

“ ყველა ამ მიწის შვილები ვართ, შეხების წერტილები გვაერთიანებს და ისე მაინც უნდა ვიყოთ, რომ მეზობლობა გვემონდეს.

— ნაზი ლობჯანიძე

გენდერული და მოხალისეობის პირველი ნაბიჯები

სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ ნაზიმ, სააგენტოს „ანარმოდ საქართველოში“ დაფინანსებით, ყავის საფუძვალზე შეიძინა და დევნილთა დასახლებაში, მაღაზიასთან ერთად, დეგუსტაციის სივრცეც მოაწყო. „სულ რომ მშვირები ვყოფილიყავით ქალები, ყავას მაინც დავლევდით ხოლმე. ეს იდეაც ამიტომ გამიჩნდა. მალე ყავას სურსათიც დავამატე. წელიწად-ნახევრის განმავლობაში შერეულ მაღაზიას ვამუშავებდი, მერე კი ჩემს ცხოვრებაში მოხალისეობა შემოვიდა“, – იხსენებს ის.

პირველი ნაბიჯები 2010 წელს გადადგა. როცა ხონში დევნილების საცხოვრებელი კორპუსების რემონტი უნდა დაწყებულიყო, ნაზიმ აღმოაჩინა, რომ პროექტი ზოგიერთი შენობის შეკეთებას არ ითვალისწინებდა. სხვა დევნილებთან ერთად, საინიციატივო ჯგუფი ჩამოაყალიბა, განცხადება დაწერა, 800-მდე ხელმოწერა შეაგროვა, ქვეყნის პრეზიდენტთან წარადგინა და მოსახლეობის პრობლემა ასე გადაჭრა. არასამთავრობო ორგანიზაციაც – დევნილთა ინტეგრაციისა და ხელშეწყობის

ცენტრი, რომლის საქმიანობაც ამჟამად შეჩერებულია, მაშინ დააარსეს.

მთავარი აღმნიშვნის მხარდაჭერა

საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ ქალთა ფონდ „სოხუმს“ ნაზი ჯერ კიდევ სამხედრო ნაწილში მუშაობიდან იცნობდა. დასახლების საჭიროებების მოგვარებაში რომ ჩაება, ორგანიზაციასაც უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ლოკალიზაციაში სულ მონაწილეობდა, „მშვიდობის ელჩი ქალები-სა და ახალგაზრდების“ ქსელშიც მალევე გაწევრიანდა.

„შეხვედრებისთვის ქალებს ვკრებიდით, პრობლემებზე ვსაუბრობდით. ოჯახში ძალადობაზე ინფორმაციაც არაერთხელ გავავრცელეთ, ცნობიერების ამაღლებას შევეცადეთ. მერე გარე განათებები და სანაგვე ურნები დავამატეთ, წყლის საკითხიც მოვაგვარეთ. აი, ამ პატარა სკვერის ადგილას ჩემი ძმის ბოსტანი იყო. ერთი წლის განმავლობაში ვთხოვდი, რომ დაეთმო და სკვერი მოგვეწყო. ცოტა კი გაჭიუტდა, მაგრამ ბოლოს მაინც დავიყოლიე, შვილიშვილები მივუგზავნე“, – ნახევრად ხუმრობ



ნაზი ლობჯანიძე ათვალთვრებს აფხაზეთში გადაღებულ ძველ ფოტოებს, რომლებზეც ის და მისი ოჯახი – მეუღლე და შვილები არიან აღბეჭდილები. ფოტოების შეგროვება მან დევნილობაში მოახერხა.

ბით ჰყვება ინიციატივების ისტორიებს ნაზი.

დასახლებაში 1200-მდე ადამიანი ცხოვრობს. 20-მდე ადგილობრივ ქალთა მუდმივად იკვლევს. აქვთ თვითდახმარების ჯგუფიც. სულ ახლახან მათ დასახლებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმე გააკეთეს. „საწვიმარი ღარები გამართული არ იყო, ამიტომ 2 კორპუსის სარდაფები იტბორებოდა და საძირკვლებიც ზიანდებოდა. ჩვენი

კაცები შევკრიბეთ და ყველაფერი საკუთარი ძალებით შევაკეთეთ. 80-მდე ოჯახის ბინები გადაარჩა“, – ამბობს ნაზი.

ახლა ქალებს უკვე დასახლებაში შემორჩენილი ძველი შენობების დემონტაჟი სურთ. ამორტიზებული ნაგებობები ბავშვებისთვის, რომლებიც მათ სიახლოვეს თამაშობენ, დიდ საფრთხეს ქმნის. მერე კი უნდათ, სადარბაზოები გაანათონ და ეზოს სკამები შეარემონტონ.

„თავიდან აქაური კაცები მეხუმრებოდნენ ხოლმე, ნაზი, ნუ გადაგვირე

ცოლები, ოჯახებში ხმამაღლა სიტყვა ვეღარ გვითქვამსო. მე კი ძალიან ვამაყობ, რადგან ვიცი, იქ, სადაც ქალები ფხიზლად არიან, ბევრი რამ კეთდება“, – ამბობს ნაზი.

თითო ზეგონიანი აღაზიანი

საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ ქალთა ფონდ „სოხუმთან“ თანამშრომლობამ ნაზის რამდენჯერმე მისცა შესაძლებლობა, გასაუბრებოდა სხვა ქალებს, რომლებიც კონფლიქტის შედეგად დაზარალებულნი, მათ შორის აფხაზებსაც. ეს შეხვედრები უმეტესად იმ გამოცდილების გაზიარებას ემსახურება, რომლებიც ნაზიმ ხონის დევნილთა დასახლების ინიციატივებით მიიღო. ჰყვება ხოლმე, როგორ დაინყეს ქალებმა მობილიზება და საჭიროებების კვლევა, მერე მათი ადვოკატირება, ადრესატებამდე მიტანა და ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა, შედეგების მიღება და მუდმივი მუშაობა მათ გასაუმჯობესებლად.

„ქალისთვის ყოველთვის მშვიდობაა ამოსავალი წერტილი. ღმერთმა ქნას და გვითხრან, რომ დაბრუნება შეგვიძლია, ამ შეხვედრებიდან თითო შემობრუნებული ადამიანი რომ დაგვხვდეს, ხომ კარგი იქნება? ხომ უნდა ვიცხოვროთ ერთად? ყველა ამ მიწის შვილები ვართ, შეხების წერტილები გვაერთიანებს და ისე მაინც უნდა ვიყოთ, რომ მეზობლობა გვქონდეს“, – ამბობს ნაზი, რომელიც ყოველთვის მზად არის აფხაზეთში მცხოვრები ადამიანების დასახმარებლად და ეს ენგურს გაღმაც იცინან.



„მშვიდობის უღრმესი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელის წევრი ნაზი ლობჯანიძე ხონის დევნილთა დასახლების სკვერში, რომელიც მისი ინიციატივით მოეწყო.

21 წლის თიკო ლაგვილავა პოლიტიკასა და დიპლომატიას სწავლობს. „მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელის წევრი აქტიურადაა ჩართული საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების, ასევე, ახალგაზრდების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგების განხორციელებაში.



დღეს გენდერულ სისუსტეს ახალგაზრდა ქალები ქმნიან

თიკო ლაგვილავა

20 წლის,
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი,
ქალაქი ზუგდიდი

შახვედრა, როგორც გზის

ყოველთვის, როცა თიკო ლაგვილავა მშობლიურ ზუგდიდში ბრუნდება, ის ისტორია ახსენდება, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ, აფხაზეთიდან დევნილების ოჯახში ჰუმანიტარული დახმარება რომ მიიტანა. არაფერი განსაკუთრებული: მხოლოდ ფქვილი, ბეთი და კარტოფილი იყო, თუმცა არასდროს ავიწყდება, მცირე ნობათმაც კი პატარა მასპინძლები როგორ გაახარა.

„უფროსები თხილის საკრეფად იყვნენ წასულები. ბავშვები, რომლებიც სახლში დაგვხვდნენ, სიხარულისგან ატირდნენ – დედა საღამოს ღვებულებს გამოგვიცხობსო. ამ შეხვედრამ ძალიან შემცვალა. დიდი ხნის განმავლობაში სინდისი მქენჯნიდა, რომ მე ბევრი რამ მქონდა, თუნდაც შემეძლო, ჩემს ოჯახში მომზადებული კერძი დამენუნებინა. ეს იყო ამბავი, რომლის გამოც გადავწყვიტე, დევნილების მხარდაჭერა აუცილებლად გამეგრძელებინა“, – ჰყვება თიკო.

ზუგდიდში გაიზარდა და, რა თქმა უნდა, როგორც ბევრ იქაურს, აფხაზეთის ომისა** და მეზობლად მცხოვრები დევნილების ტკივილიანი ამბები ბავშვობიდან ესმოდა. მერე კი მათ საჭიროებებზე მუშაობაც დაიწყო. ჯერ კიდევ

მერვეკლასელი იყო, როცა წითელი ჯვრის მოხალისემ, არასამთავრობო ორგანიზაცია „ნეოგენში“ მენტორინგის პროგრამა გაიარა და საქმიანობა იქვე განაგრძო. კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების გაძლიერებაზე მუშაობდა. აწყობდა შეხვედრებს, რომლებზეც დევნილების საჭიროებებსა და პრობლემებზე მსჯელობდნენ. მოგვიანებით თიკომ თანატოლი დევნილები შემოიკრიბა და ახალგაზრდა ლიდერთა ჰაბში გააერთიანა. პროექტების წერის, ლიდერობის, პრეზენტაციის უნარების შესწავლასა და სხვა ღირებული ცოდნის მიღებაში ეხმარებოდა. მათთან ერთად, გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში ღონისძიებებს ატარებდა. სტუდენტობის გამო, თავად ორგანიზაციაში ახლა აღარ მუშაობს, თუმცა ჰაბი საქმიანობას კვლავაც აგრძელებს.

თიკომ კარიერაც კონფლიქტების ტრანსფორმაციასა და მშვიდობის მშენებლობას დაუკავშირა: უკვე მეოთხე კურსის სტუდენტი, ნიუ ვიუენ უნივერსიტეტში პოლიტიკასა და დიპლომატიას სწავლობს. პარალელურად კი, საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების, ასევე, ახალგაზრდების, მშვიდობისა

„**ქალბან, სადაც გადაწყვიტილებაა, ქალბან თანაბარი შესაძლებლობაა უნდა ჰქონდეთ და სათანადოდ იყვნენ წარმოდგენილები.**

— თიკო ლაგვილავა

და უსაფრთხოების დღის წესრიგების განხორციელებაშიც აქტიურადაა ჩართული. მონაწილეობს ადგილობრივ თუ საერთაშორისო პლატფორმებში, რათა მშვიდობის მშენებელი ახალგაზრდა ქალების ხმა რაც შეიძლება მეტ ადამიანს გაავრცელოს.

ღვინილოვის სტიგმა

ომის სიმძიმესთან ერთად, აფხაზეთიდან დევნილები არაერთ სტერეოტიპსა და მტკივნეულ დამოკიდებულებას შეეჯახნენ, განსაკუთრებით კი ქალები. თიკო ამბობს, რომ ეს რეალობა ნაწილობრივ ახლაც გრძელდება. ბევრი მაღავეს კიდევ, რომ აფხაზეთიდანაა, მასპინძელ თემს კი მათი მიღება კვლავაც უჭირს.

„მაგალითად, ზუგდიდში დევნილ ქალზე ქორწინება არასდროს იყო სასურველი. ასე ვთქვათ, ზემოდან უყურებდნენ ხოლმე. საინტერესო კი იცით რა არის? ომის შემდეგ ბევრი დევნილი ქალი ადგილობრივზე იმითომ დაქორწინდა, რომ საკუთარი ჭერი ჰქონოდა. წარმოიდგინეთ, რამხელა საშინელებაა: თან არასასურველი ხარ და თან სხვა გზა არ გაქვს – ოჯახი უნდა შექმნა, რომ სახლი გქონდეს“, – ამბობს თიკო.

ფიქრობს, რომ სტერეოტიპებსა და გარიყულობას დევნილთა ჩასახლებაში განცალკევებაც აღრმავებს. „ამდენი წლების შემდეგაც ეს ადამიანები ადგილობრივებისგან მოწყვეტილად ცხოვრობენ, რაც არასწორია. ასე ინტეგრაცია ვერ მოხდება“, – დასძენს ის.

წარმართებად ქაული რაბრიკოლეები

ახალგაზრდა აქტივისტი „მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელში 2024 წელს, ქალთა საინფორმაციო ცენტრის დახმარებით გაწვერიანდა. ამ გაერთიანებამ თიკოს ცხინვალის რეგიონიდან დევნილების განსხვავებული გამოცდილებებიც გააცნო.

„პირველმა შეხვედრამ და ქალების მოყოლილმა ამბებმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. რომ ვისმენდი, რამდენს შრომობენ, რამდენ საქმეს აკეთებენ რეალობის შესაცვლელად, მოტივაცია მეძლეოდა. ვხვდებოდი, რომ თუ რაღაც არ მაქვს, ცხვირი კი არ უნდა ჩამოვუშვა, არამედ შევცვალო. ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ყველასთან ვმეგობრობ. გულწრფელები არიან და სწორედ ამაშია მათი სიძლიერე, დაბრკოლებისგან წარმატების ისტორიას ქმნიან და მერე ამ ისტორიებით სიხარულისა და სიამაყის განცდას გიჩენენ. დარწმუნებული ვარ, თავიანთი მიზანდასახულობითა და აქტიურობით მეზობელ თემებში მცხოვრებ ქალებსაც აძლევენ შთაგონებას“, – აღნიშნავს თიკო.

შეხვედრებიდან შთაგონება თავადაც სულ მოაქვს. ამბობს, რომ როცა მშვიდობის მშენებლობაში ქალების მონაწილეობაზე საუბრობს, ყოველთვის ქსელის წევრების ისტორიებს ახსენებს. „მათი მაგალითები ადასტურებს, რომ ყველგან, სადაც გადანწყვეტილებები მიიღება, ქალებს თანაბარი შესაძლებლობები უნდა ჰქონდეთ და სათანადო-



თიკო ლავილია ჯერ კიდევ მერვეკლასელი იყო, როცა წითელი ჯვრის მოხალისე გახდა და აქტივიზმში ჩაერთო.

დაც იყვნენ წარმოდგენილები“, – დასძენს თიკო.

სვლილები განათლებას მოაქვს

ახალგაზრდა ქალებისთვის ცვლილებების საუკეთესო შესაძლებლობა განათლებაა. თიკო ამბობს, რომ პატრიარქალურ საზოგადოებაში ხშირად ეს ან პრიორიტეტული არ არის, ან გოგოებისთვის პროფესიები წინასწარ, სტერეოტიპებითაა განსაზღვრული.

„პოლიტიკისა და დიპლომატიის შესწავლა რომ გადავწყვიტე, არც ჩემი არჩევანი მოსწონდათ. მეუბნებოდნენ, პოლიტიკა, კონფლიქტები და მშვიდობა ქალის საქმე არ არისო. მიუხედავად იმისა, რომ მშობლები მხარს მიჭერდნენ, მომინია, ბევრი მემუშავა საკუთარ თავსა და განვითარებაზე, რომ დამემ-

ტკიცებინა: დიახ, შევძლებ ამ საქმის კეთებას“, – აღნიშნავს თიკო.

ახალგაზრდა აქტივისტს მიაჩნია, რომ სინამდვილეში ქალებმა ყველაზე კარგად იციან, რა შედეგები მოაქვს კონფლიქტს მომავალი თაობებისთვის. მით უფრო მათ, ვინც ომის სიმძიმე საკუთარ თავზე გამოცადეს.

„მონაცემები ადასტურებს, რომ მოლაპარაკებები, რომლებშიც ქალები მონაწილეობენ, წარმატებული და გრძელვადიანად მშვიდობიანია“, – ამბობს თიკო. სჯერა, რომ ქალების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების, ჩართულობა დამოკიდებულებებსაც პოზიტიურად შეცვლის და მშვიდობის მშენებლობაშიც პროგრესს მოიტანს, რადგან დღეს მშვიდობას ახალგაზრდა ქალები ქმნიან.



როცა რაღაც დიდის ნაწილი ხარ

ანა ლეფონავა

33 წლის,
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი,
ქალაქი ზუგდიდი

33 წლის ანა ლეფონავა, „მშვიდობის
ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“
ქსელის წევრი და აქტივისტი
ზუგდიდიდან.

ფინანსისტობიდან მოხალისეობაში

„მაშინ ჯერ კიდევ ბანკში ვმუშაობდი. სოფელ რუხის სკოლის დირექტორმა დამირეკა და მთხოვა, ერთ-ერთი მასწავლებელი ვერ ახერხებს და იქნებ იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ შეხვედრაზე წახვიდეო. ამ დღის შემდეგ ეს ორგანიზაცია ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა, არასამთავრობო სექტორი კი აღმოჩნდა სფერო, რომელშიც საკუთარი თავი ვიპოვე“, – ჰყვება პროფესიით ფინანსისტი და ახლა უკვე თავადაც იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ თანამშრომელი ანა ლეფონავა.

მეუღლესა და 9 წლის შვილთან ერთად, რუხიდან მშობლიურ ზუგდიდში ანა საცხოვრებლად სულ ახლახან გადავიდა. რუხი გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელია, დევნილთა დიდი დასახლებით. ანამაც მოხალისეობა სწორედ ამ ადამიანებზე ზრუნვით დაიწყო.

ადგილობრივების საჭიროებებს რომ გაეცნო, აღმოაჩინა, რომ დასახლების შემორღვევული ღობე საქონელსაც უქმნიდა საფრთხეს და – მოსახლეობასაც, დაბინძურებული ჭის გამო კი, იქაურებს მუდმივად სასმელი წყლის პრობლემა აწუხებდათ. დაზიანებული და სახიფათო იყო ის ერთადერთი სამარშრუტო ტაქსიც, რომელიც გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ ადამიანებს ზუგდიდთან აკავშირებდა. ამ თემებზე, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობასთან“ ერთად, ახალგაზრდა აქტივისტი ინციდენტე-

ბის პრევენციისა და მათზე რეაგირების შეხვედრებზე მუდმივად საუბრობდა და საკითხების ადვოკატირებასაც არ წყვეტდა. საბოლოოდ, მუშაობამ შედეგი გამოიღო: დევნილთა დასახლებას ახალი ღობე აქვს, ჭა გაინმინდა და წყლის პრობლემა მოგვარდა, შეიცვალა ტრანსპორტიც.

მხიარული გაეჩინა

ანა „მშვიდობის ელჩი ქალებისა და ახალგაზრდების“ ქსელში დაარსებისთანავე გაწევრიანდა. როცა ამ გაერთიანების შესახებ შეიტყო, მალევე გადაწყვიტა, რომ, სხვა ადგილობრივ 8 ქალთან ერთად, ინიციატივაში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიეღო.

„მაშინვე გამიჩინდა განცდა, რომ ძალიან პროგრესული ჩანაფიქრი იყო. მართლაც, პირველივე შეხვედრაზე მივხვდი: რალაც დიდის მონაწილე ვხდებოდი – იდეის, რომელიც ქალებს ამროვნებასა და ურთიერთობას შეგვიცვლიდა, ხელს შეგვიწყობდა, გამოცდილებების გაზიარების საშუალებას მოგვცემდა. სულ მახსენდება ხოლმე, ერთ-ერთ შეკრებაზე როგორ აღმოაჩინეს ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში მცხოვრებმა, გორელმა და ინგირელმა ქალებმა, რომ კანალიზაციის იდენტური პრობლემა ჰქონდათ და შემდეგ ინგირში მის გადასაჭრელად სწორედ გორის გამოცდილებით იხელმძღვანელეს“, – იხსენებს ანა.

ახლა ერთმანეთს უკვე ოჯახის წევრებით ხვდებიან, მეგობრობას კი ონლაინსივრცეშიც აგრძელებენ: ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციასა თუ



ანა ლეფონავა სტუმრად სოფელ რუხის დევნილთა დასახლებაში, სადაც მისი აქტიურობით არაერთი სასარგებლო ინიციატივა განხორციელდა.

„ როცა მოლაპარაკების შედეგად ქალები ვხვდებით, ვხილავთ, ოჯახებსა და საგოგაროში ვუიქრობთ, მერა კი – ტერიტორიულ. ჩვენთვის აღაშინია გენდერული სამსახური. – ანა ლეფონავა

ანა ლეფონავა რუსის დევნილთა დასახლებაში ქორწინების შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა. მისი მონათესავეობრივი საქმიანობა სწორედ აქ დაიწყო.



შესაძლებლობას იქ აზიარებენ. რაც მთავარია, იციან, რომ საქართველოს ყველა კუთხეში თანამოაზრეები ეგულებათ.

„ამ ქალების ინიციატივებით, თითოეულის გაკეთებული საქმით მოტივაციას ვიღებ, მათი წარმატების ისტორიებით მეც ვძლიერდები“, – აღნიშნავს ანა.

ქსელში გაერთიანებამ ქალების საქმიანობაზეც დადებითი გავლენა იქონია. ადგილობრივ დონეზე აქტიურობა უფრო შედეგიანი გახდა, კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა კი დაჩქარდა. ანას მაგალითად ხშირად მოჰყავს აფხაზეთიდან დევნილი ქალის ამბავი, რომელიც წლების განმავლობაში სკო-

ლის შენობაში ცხოვრობდა და ბინისთვის საჭირო თანხას ელოდა. კუთვნილი დაფინანსება მან სწორედ ქსელის ადვოკატირებით მიიღო და საკუთარი სახლიც შეიძინა. „ასეთი ამბები კიდევ უფრო ბრძოლისუნარიანს მხდის. როცა ვხედავ, რომ ჩემს საქმეს შედეგი მოაქვს, რაღაცნაირად მხრებში ვიმართები“, – ამბობს ანა.

აქტივიზმი ბაჩინაძის მიუხედავად

„2 წლის იყო აჩიკო, ტრენინგზე პირველად რომ გამომყვა. მას შემდეგ ყველა შეხვედრაზე დამყავდა. ბევრი მეკითხებოდა, შვილი არ გეცოდებაო? ბავშვს იმიზეზებდნენ, თორემ სინამდვილეში ეს მინიშნება იყო, რომ ქმრიან ქალს ასეთი აქტიურობა არ შეეფერებოდა. სულ მქონდა ამაზე პროტესტი, ამიტომაც ჩემს საქმეს ჯიუტად ვაგრძელებდი“, – იხსენებს ანა.

რეგიონში მცხოვრები აქტივისტებისთვის ყოველდღიურობა უამრავი დისკრიმინაციული სოციალური ნორმითაა სავსე. საქმიანობასთან ერთად, მათ არაერთი წინააღმდეგობის გადალახვა და მცდარ საზოგადოებრივ წარმოდგენებთან გამკლავებაც უწევთ. ეს ბრძოლა არა მარტო საკუთარი მოვალეობის შესრულებას, არამედ მომავალი აქტივისტებისთვის გზის გაკვალვასაც ნიშნავს.

„როცა დაქორწინებული ხარ, აუცილებლად ჩარჩოებში უნდა მოექცე, საღამოს ექვს საათზე სამსახური დაასრულო, ღამე სახლში გაათენო, ტრენინგზე, რომელიც თბილისში შეიძლება

ტარდებოდეს, არ წახვიდე, რადგან ეს არ შეგეფერება. ადამიანებს ვერ წარმოუდგენიათ, რომ ცოდნა, რომელსაც იქ იღებ, ისევ შენი თემის საკეთილდღეოდ გინდა გამოიყენო. ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობაც კი არ არის ღირებულად მიჩნეული“, – ამბობს ანა, რომლისთვისაც მთავარი მოტივატორი შვილი და სამშობლოა. „მინდა, რომ აჩიკომ, რომელსაც წარმატებული, პროფესიულად შემდგარი დედა უნდა, ჩემით იამაყოს და უკეთეს საქართველოში იცხოვროს. ეს არის სტიმული, რომელიც ყოველდღიურად მაძლიერებს და მარწმუნებს, რომ სწორ ადგილას ვარ, სწორ საქმეს ვემსახურები“, – აღნიშნავს ის.

როცა მოლაპარაკების მაგილასთან მაგილასთან ქალები სხდებიან

ანა ფიქრობს, რომ ნებისმიერ თემას შვილების მომავლის გადასახედიდან უნდა შევხედოთ და დასძენს, რომ ქალები უმეტესად ასეც იქცევიან.

„როცა მოლაპარაკების მაგილასთან ქალები ვსხდებით, შვილებზე, ოჯახებსა და სამშობლოზე ვფიქრობთ, მერე კი – ტერიტორიაზე. ჩვენთვის ადამიანია მნიშვნელოვანი. აფხაზეთის ომს** არ მოვსწრებივარ, მაგრამ მახსოვს, 2008 წლის აგვისტოში*** რა გამოვიარეთ, როგორი განცდები გვქონდა. არ მინდა, ჩემს შვილსაც იმავეს გადატანა მოუწიოს. ასე არიან სხვა ქალებიც“, – ამბობს ანა და მიიჩნევს, რომ სამშვიდობო პროცესებში ქალების ჩართვა სწორედ მომავალი თაობების კეთილდღეობისთვისაა აუცილებელი.



ბავშვური სოლიდარობის გაბრძნა

სოფო შენგელაია

43 წლის,
სამეგრელო-ზემო სვანეთის
რეგიონი,
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი,
სოფელი ახალაბასთუმანი

„მშვიდობის ელჩი ქალებისა და
ახალგაზრდების“ ქსელის წევრი სოფო
შენგელაია სოფელ ახალაბასთუმანში ცხოვრობს
და ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დევნილების
ყოველდღიურობის გაუმჯობესებაზე მუშაობს.

სიახლის მაკინაჟი პლაგოვი

„აფხაზეთის ომის** დროს მეზობელ ოჯახს დევნილმა ნათესავებმა შეაფარეს თავი. ბევრნი იყვნენ, ამიტომ ნაწილი მშობლებმა ჩვენთან წამოიყვანეს. მე და ჩემმა ძმამ ლოგინები იატაკზე გავიშალეთ, სანოლები კი მათ დავუთმეთ და ბავშვური სოლიდარობა ასე გამოვხატეთ. ძალიან განვიცდიდი მათ მძიმე ემოციებსა და ტკივილით სავსე სიტყვებს. წლების შემდეგ, როცა აფხაზეთიდან დევნილების დახმარების შესაძლებლობა ისევ მომეცა, ძველი შეგრძნებები გამახსენდა და ვცადე, გამეკეთებინა ყველაფერი, რაც მაშინ ასაკის გამო ვერ შევძელი“, – იხსენებს სოფო შენგელაია, რომლის საქმიანობაც ბოლო წლებია, სწორედ დევნილების დახმარებას უკავშირდება.

სოფოს მეუღლე და სამი შვილი ჰყავს. ქალაქ ზუგდიდის კომბინატის დასახლებაშია გაზრდილი, დაქორწინების შემდეგ კი, ოჯახთან ერთად, მეზობელ სოფელში, ახალაბასთუმანში ცხოვრობს. პროფესიით ზოგადი განათლების დანყებითი საფეხურის პედაგოგია და მშობლიური დასახლების საბავშვო ბაღში აღმზრდელად მუშაობს.

„მიყვარს ჩემი პროფესია. პედაგოგობა მუდმივად ახლის ძიებას ნიშნავს, რაც განსაკუთრებით მომწონს. არაფორმალურ განათლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კავშირიც ძალიან მეხმარება. ტრენინგებსა თუ სხვა სამუშაო შეხვედრებზე მიღებულ ცოდნას პედაგოგიკაშიც ვიყენებ“, – ამბობს სოფო.

მონაღისეობა, როგორც აჩრევანი

არაფორმალური განათლება და მონაღისეობა სოფოს ცხოვრებაში 2019 წელს, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობასთან“ ურთიერთობის შემდეგ გაჩნდა. ორგანიზაცია ლიდერ ქალთა აკადემიას ქმნიდა და რეგიონებში აქტიურ ქალებს ეძებდა. ახალაბასთუმნიდან აკადემიაში მონაღისეობა სწორედ სოფომ მიიღო.

„მოულოდნელად გავიგე, რომ სოფელმა ამ პროექტში მე წარმადგინა. ბავშვები პატარები მყავდა და სამსახურის გარდა, სხვა საქმისთვის დროის დათმობა მიჭირდა. თუმცა, პირველ შეხვედრაზევე ყველაფერი შეიცვალა: საკუთარ თავში მანამდე უცნობი უნარები აღმოვაჩინე. გავიგე, რომ თურმე სოფლის საქმიანობების ადრესატებამდე მიტანა, ადვოკატირება და სწორი მიმართულებით წაყვანა შემეძლო. ამ სიახლემ ისე მომხიბლა, რომ მივხვდი: მონაღისეობის დიდი ოჯახის ნაწილი აუცილებლად უნდა გავმხდარიყავი“, – იხსენებს სოფო.

ლიდერ ქალთა აკადემიაში კომუნიკაციის, ლიდერობის, მდგრადობისა და სხვა თემების გარდა, ტრენინგთა ტრენინგიც გაიარა. მერე კი მიღებული ცოდნა ახალაბასთუმნის ადმინისტრაციის შენობის ეზოში მონაღისეობის შეხვედრებზე იქაურ ქალებსა და ახალგაზრდებს გაუზიარა. მალევე მიხვდა, რომ ინფორმაციის გავრცელებისთვის სპეციალური სივრცე იყო საჭირო, ამიტომ, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ მხარდაჭერით, ამავე შენობაში ადგილობრივი თვითმმართველო-



სოფო შენგელაია სოფელ ახალაბასთუმნის ადმინისტრაციის შენობის ეზოში. წლების წინ ის ადგილობრივებს ცოდნას კომუნიკაციის, ლიდერობის, მდგრადობისა და სხვა თემების შესახებ სწორედ ამ ადგილას უზიარებდა.

„საკუთარ თავში მანამდე უცნობი უნარები აღმოვაჩინე. გაიგე, რომ თურმე სოფლის საქმიანობის ადრესატებამდე მიტანა, ადვოკატირება და სწორი მიმართულებით წაყვანა შემეძლო.“
— სოფო შენგელაია



სოფო შენგელაია ახალაბასთუმნის ქვის საამქროსთან. ამ ეზოში წლების განმავლობაში დევნილები, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვები, გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდნენ. სოფოს აქტიური ჩართულობით, ყველა მათგანმა ალტერნატიული ფართები მიიღო და საამქროს ტერიტორია დატოვა.

ბისგან ერთი ოთახი უზუფრუქტით აიღო, გაარემონტა და თანასოფლელების შეკრების ადგილად აქცია. ამ სივრცემ არაერთ შეხვედრას უმასპინძლა, მათ შორის, ძუძუს კიბოს პრევენციისა და ოჯახში ძალადობის თემებზე.

კანდაკან შემოვიღი სოფელი

შეკრებების ორგანიზების პარალელურად, სოფომ ახალაბასთუმნის საჭიროებების შესწავლა და სასარგებლო

ინფორმაციის გავრცელებაც დაიწყო: კარდაკარ დადიოდა და სოფლის მოსახლეობას უფასო პროგრამებისა და შესაძლებლობების შესახებ უყვებოდა, თან მათ პრობლემებსაც ეცნობოდა.

„პატარა ბიჭების ფეხბურთის გუნდი გვყავდა, „ფენიქსი“. არც ფორმები ჰქონდათ, არც – ლოგო. ბავშვები ტურნირებში ვერ მონაწილეობდნენ და ყურებჩამოყრილები იყვნენ. „თანხმობის“ თანადგომით, ყველაფერში დავეხმარეთ:

ფორმები და ინვენტარი შევუძინეთ, ლოგოც დავუმზადეთ. მერე გოგონებმაც მოისურვეს გუნდის შექმნა და მათაც მხარი დავუჭირეთ. მართალია, მხოლოდ 4 წელი ითამაშეს, მაგრამ სოფელს არაერთი გამარჯვება და თასი მოუტანეს“, – ჰყვება სოფო.

განსაკუთრებით ერთი ისტორიით ამაყოფს – ქვის საამქროს ეზოში მცხოვრები დევნილების ამბით, რომლებიც გაუსაძლის პირობებში იყვნენ. „წლების განმავლობაში ამ ადამიანების ყოველდღიურობა სამშენებლო მტვერში, ხმაურსა და დაბინძურებულ გარემოში მიედინებოდა. „თანხმობასთან“ ერთად, ძალიან ბევრი ვიპოვე, რომ ექსპერტებისგან შესაბამისი დასკვნები მომეპოვებინა, მერე კი, თვითმმართველობასთან თანამშრომლობით, ოთხივე ოჯახს ალტერნატიული ფართები მიეღო. ბედნიერი ვიყავი, როცა ეს ამბავი გავიგე და გავაცნობიერე, რომ იქ მცხოვრები მცირეწლოვანი ბავშვები ამიერიდან ნორმალურ ჰაერს ჩაისუნთქავდნენ“, – იხსენებს სოფო.

ქალების გაერთიანება

სოფომ თავისი აქტიურობით 6 თანასოფელელი ქალი აიყოლია და ცვლილებებს დევნილთა სხვა ჩასახლებებშიც მიაღწია. ერთ-ერთში სასმელი წყლის პრობლემა მოაგვარეს, მეორე ჩასახლებაში კი, სადაც მოსახლეობა წყალს ასევე ხელით ეზიდებოდა, ჭაბურღილის მოწყობაზე იზრუნეს. ამჟამად ქალები დევნილების საცხოვრებელი კორპუსების ნესტგამძლე საღებავით დამუშავებასა და სოფლის

საბავშვო ბაღისთვის ახალი შენობის გამოყოფას ადვოკატირებენ.

თანამოაზრეების შემოკრება სოფოსთვის მარტივი არ ყოფილა. „ასეთ დროს ათასნაირ იარღიეს განებებენ. გეუბნებიან, რომ უსაქმური ხარ, ან ბევრ ფულს შოულობ, ან უკვირთ, მთელ დროს შვილებს რატომ არ უთმობ. ტრენინგებმა მომცა შესაძლებლობა, ამ წნეხისთვის გამეძლო და სხვების დახმარება გამეგრძელებინა. საბედნიეროდ, თანდათან ეს უარყოფითი დამოკიდებულება შეიცვალა“, – ამბობს სოფო.

ქალების ანაჩაიღიხაული კოშხანსიანი

სოფო ფიქრობს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების ჩართულობას, მათი პოტენციალის რეალიზებას უპირველესად სტერეოტიპები აფერხებს.

„ქალების განსხვავებული ხედვა თემის საჭიროებების წარმოსაჩენად აუცილებელია. აი, მაგალითად, დევნილთა დასახლებაში, სადაც ახლა კორპუსების ნესტის პრობლემაზე ვმუშაობთ, მხოლოდ ქალები აქტიურობენ. არადა, კაცებმაც ხომ იციან, რომ ეს საკითხი მოსაგვარებელია? მეც ჩემი ქალობა ძალიან დამეხმარა იმ პრობლემების დახახვამში, რომლებიც ჩემ ირგვლივ იყო. ქალებს აქვთ უზარმაზარი არარეალიზებული პოტენციალი და ეს ფაქტორი ძალიან მანუხებს“, – აღნიშნავს სოფო და ფიქრობს, რომ ქალების განსაკუთრებული ხედვა კონფლიქტის შემდგომ აღდგენით პროცესებშიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

სოფელ ჭუბერის საჯარო სკოლის დირექტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნატო სუბარი ერთ-ერთი იყო იმ ადამიანებს შორის, რომლებმაც 1993 წლის შემოდგომაზე საკენ-ჭუბერის უღელტეხილით გადმოსული დევნილები შეიფარეს.



საქმედ ქსეული პატრიოტიზმი

ნატო სუბარი

63 წლის,
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი,
მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭუბერი

დაბრუნება

„პატრიოტული ლოზუნგების საქმედ ქცევის დრო მოვიდა“, – ასე ხსნის ნატო სუბარი წლების წინანდელ გადაწყვეტილებას, როცა ფილოლოგიის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტმა, თბილისურ ცხოვრებაზე უარი თქვა და მშობლიურ სოფელში, ჭუბერში, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაბრუნდა.

ნატო დედაქალაქში 17 წლის ჩამოვიდა. ჯერ აბრეშუმის ფაბრიკაში მუშაობდა, მერე კი სწავლა განაგრძო და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა. მისი სტუდენტობის ბოლო პერიოდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აფეთქებას დაემთხვა. მაშინ ნატოსთვის, როგორც ბევრი სხვა ახალგაზრდისთვის, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული ანტისაბჭოთა აქციები ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

„1989 წელი იდგა. მთლიანად უნივერსიტეტი და მეც პატრიოტული მუხტით ვიყავით მოცულები. იმ დროს შევითვალისწინეთ, რომ ჩვენს ფაკულტეტზე განათლების სამინისტროდან კონკრეტული თხოვნა მოვიდა. ჭუბერში, ჩემს მშობლიურ სკოლაში, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი აღარ ჰყავდათ და სურდათ, მასწავლებლად დავბრუნებულიყავი. სხვათა შორის, მაშინ კადრების სიმცირე სხვა სოფლებშიც იყო, ამიტომ ბევრმა ჩემმა მეგობარმა იგივე გადაწყვეტილება მიიღო და სხვადასხვა რეგიონში მას-

წავლებლად წავიდა“, – იხსენებს ნატო.

მაშინ 28 წლის იყო. ფიქრობდა, რომ სოფელში დროებით დაბრუნდებოდა, თუმცა ასე არ მოხდა. „დარჩენის საჭიროება იყო და დავრჩი“, – ამბობს ნატო, რომელიც ჭუბერის საჯარო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ახლაც ასწავლის და 30 წელია, მისი დირექტორია.

ჭუბერის სპირიტი

აფხაზეთის ომის** დროს, 1993 წლის 27 სექტემბერს, ქალაქი სოხუმი რომ დაეცა, ათიათასობით დევნილი საკენ-ჭუბერის უღელტეხილის გზას დაადგა. იმ წელს უჩვეულოდ ადრე მოთოვა. ადამიანებს ფეხით სიარული სიცივესა და შიმშილში, ურთულეს პირობებში უწევდათ. უღელტეხილზე გადმოსვლისას დალუპულთა რიცხვი დღემდე უცნობია.

აფხაზეთიდან დევნილები ერთ-ერთმა პირველმა ჭუბერმა მიიღო. უკვე 28 სექტემბერს სოფელში ომს გამოქცეული ადამიანებით სავსე 6 სამამუველო ვერტმფრენი დაფრინდა. მათი დიდი ნაწილი ნატოს სკოლამ შეიფარა. უღელტეხილით მომავალთა ნაკადი დიდხანს გაგრძელდა. შენობაში, სადაც კედლები იყო დარჩენილი, სასწავლო პროცესი მხოლოდ ნოემბრის დასაწყისში აღდგა.

„გაუბედურებული, გაყინული, მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანები, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს და ურთულესი გზა გამოიარეს, კარ-ფანჯარას, იატაკსა და წიგნებსაც კი გასათ-

სამშობლო მარტო მიწა არ არის, სამშობლო უპირველესად კლამიანებია და მიწა, რომ მათ კარგად იცხოვრონ.

— ნატო სუბარი

ბოზად იყენებდნენ. მაშინ ჩემთვისაც ერთული იყო გააზრება, თუ რატომ ეშინოდათ გარეთ გამოსვლის, გვერდით ოთახში მცხოვრები უცნობების, ყველა-სი და ყველაფრის. როცა ეს არ გადა-გიტანია, ვერ აღიქვამ“, – ამბობს ნატო და იხსენებს ამბავს, რომელიც მის მოგონებებს განსაკუთრებით შემორჩა: „ფიზიკის კაბინეტში ახალი კომპიუტერები გვქონდა. თვალის ჩინივით ვუფრთხილდებოდით, ამიტომ ერთ დღესაც მათ შესამონებლად მივედი. ოთახში შესვლისთანავე ქალი დავინახე, რომელმაც სასონარკვეთილმა მთხოვა, არ გამაგდოთო. მერე თვალი მოვკარი, რომ იქვე, მაგიდაზე, ვიღაც იწვა. ნატო-რი ჰქონდა გადაფარებული და არ ჩანდა. ამ ქალის შვილიშვილი აღმოჩნდა – პატარა გოგო, რომელსაც ბებია მალავდა და გაუპატიურებისგან იცავდა. აი, ასეთი საშინელებები ახლავს ომს“, – დასძენს ის.

დევნილები ჭუბერელებმა სახლებშიც შეიფარეს, მათ შორის, ნატომაც. 28 სექტემბერსვე მან პირველი 11 ადამიანი მიიღო – თბილისელი მეზობლები, რომლებმაც სოხუმის დაცემის შესახებ იმ საღამოს ტელევიზიით შეიტყვეს. „თოფის გასროლასავით იყო ეს ამბავი, ყველანი ხმით ტიროდნენ“, – იხსენებს ნატო.

მას შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სახლში 35-40 დევნილი მუდმივად ცხოვრობდა. ოთახები ლაზარეთს ჰგავდა: ინვინენ ყველგან, სადაც ადგილი მოიძებნებოდა. მთავარია, გარეთ არავინ დარჩენილიყო.

ნატოს ახალდაბადებული ძმისშვილი ჰყავდა და, ბედად, მის სახელზე დაკლული დეკულის ხორცის მარაგი აღმოჩნდა. 40-ლიტრიან ქვაბში ნოყიერ კერძს ამზადებდნენ და ახერხებდნენ, რომ ერთი ჯამი ცხელი წვნიანი ყველას შეხვედროდა. 2 კვირა თავი ასე გაიტანეს. მერე უკვე დახმარების სახით გამოგზავნილი საკვებიც წამოეწიათ.

იმ მძიმე დღეებში ჭუბერელმა ქალებმა განსაკუთრებით იყოჩაღეს. მასპინძლობის, ზრუნვისა და მოვლის სიმძიმემ ძირითადად მათზე გადაიარა. „ადამიანებმა გზაზე ნახეს მიცვალებულები და მიხვდნენ, რომ შეიძლებოდა, ნებისმიერს იგივე დამართოდა. სულის შემძვრელ ისტორიებს გვიამბობდნენ. ყველა ცდილობდა, მოეყოლა, რა გამოიარა, როგორ ცხოვრობდა იქ და რა დაკარგა. მათ ეს სჭირდებოდათ და ჩვენ, ქალებს, უნდა მოგვესმინა. თანაც, სულ მზადყოფნაში, საათის მექანიზმით მომართულები ვყოფილიყავით“, – აღნიშნავს ნატო.



ნატო სუბარის მშობლიური სახლი ჭუბერში. 1993 წლის სექტემბერ-ნოემბერში ამ სახლში მუდმივად 35-40 დევნილი ცხოვრობდა.

მიუხედავად იმისა, რომ სოფელმა ამდენი დევნილი შეიფარა, ჭუბერი დღემდე მძიმე ტვირთს ატარებს. უღელტეხილზე მომავალი ადამიანებისთვის, სიცვისა და შიმშილის გარდა, განსაკუთრებით სახიფათო ძალადობა და ძარცვა იყო. დაჯგუფებები, რომლებიც იმ პერიოდის საქართველოში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდნენ, დევნილებს გზაში თავს ესხმოდნენ და აყაჩაღებდნენ. ვინც უღელტეხილი გამოიარა, ჭუბერს დღემ-

დე მძიმედ იხსენებს და კრიმინალში ადგილობრივებსაც ადანაშაულებს.

„ერთ დილას გზაზე დაღლილი ქალი გამოჩნდა. დიდი ჩანთით მოდიოდა. ცოტა ხანს შეისვენა და სულის მოსათქმელად მდინარეზე ჩავიდა. რომ ამობრუნდა, ჩანთა აღარ დახვდა. საშინელ დღეში ჩავარდა, მისმა კვილი-მა იქაურობა შეძრა. აღმოჩნდა, რომ გზაზე ბავშვი მოუკვდა და ჩანთით მიცვალებული მოჰყავდა. შეიძლება, ვიღაც უსინდისომ დასტაცა ხელი ჩანთას

და მერე ვეღარ გაამხილა. ვერაფერს გამოირიცხავ. ერთხელ სკოლაში შეფარებულმა დევნილმა გაბრაზებულმა მითხრა კიდევ, მე ნუ მიკითხავ ნოტაციებს, უღელტეხილზე რომ ყაჩაღობენ, იმათ ნაუკითხეო. მეც მზად ვარ კრიტიკის მოსასმენად და – სოფელიც. მინდა, სიმართლე ვიცოდე, თუნდაც მან სულ დამტანჯოს“, – ამბობს ნატო.

დავნილია ჰუბანი

ჭუბერი გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელია, 320 ოჯახით. მათ შორის ის დევნილებიც არიან, რომლებიც აქ ომის შემდეგ დარჩნენ. აფხაზეთიდან მომავალი ბევრი ქალი ადგილობრივზე დაქორწინდა და როცა 1994 წელს დაბადებული ბავშვები სკოლაში მივიდნენ, პირველ კლასში ჭუბერისთვის უჩვეულოდ ბევრი, 22 მოსწავლე აღმოჩნდა. „საშუალოდ 10 ბავშვი გყავს ხოლმე, იმ წელს კი ტრაგიკული დღეებიდან თითქოს სიკეთე და სიხარული დაიბადა“, – იხსენებს ნატო.

ახლაც ჭუბერის სკოლაში დევნილის სტატუსით 30-40 მოსწავლე მუდმივად. დევნილები არიან პედაგოგებს შორისაც. ნატოს ეს სიახლოვე მათი საჭიროებებისა და პრობლემების ცოდნაში, გააზრებასა და ადვოკატირებაში ეხმარება.

პირველად ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ლოკალიზაციის შესახებ თბილისში, თვითმმართველობებთან გამართულ შეხვედრაზე შეიტყო. მაშინ ეს პროცესი მხოლოდ იწყებოდა. ჭუბერში მცხოვრები დევნილების პრობლემებზე ნა-

ტომაც ისაუბრა. მალე ამ შეკრებას საჭიროებების კვლევა და მომდევნო შეხვედრა მოჰყვა, რომელზეც ის უკვე ორ დევნილ პედაგოგთან ერთად მივიდა.

„მცირე ინიციატივები გვქონდა, რომლებიც მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა: სანაგვე ურნები დაამატეს, წყლის პრობლემის მოგვარება დაიწყო, გზის მონაკვეთი, რომელიც შეკეთებას საჭიროებდა, დასრულდა. პროექტით გადმოგვეცა ხმის გამაძლიერებელი და ორი მიკროფონი, რომლებსაც სკოლაში ღონისძიებებისთვის ვიყენებთ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქალებმა გაიაზრეს, რომ მათაც შეუძლიათ მოითხოვონ, რაც ეკუთვნით, მათაც შეუძლიათ შეცვალონ. ეს ყველაზე დიდი მიღწევაა“, – ამბობს ნატო.

სხვა ქალებთან ერთად, ახლა ცდილობს, სოფელში გარემო კიდევ უფრო უკეთესი იყოს, საინტერესო ინიციატივები განხორციელდეს და სერვისები გაუმჯობესდეს.

მეტი მოხალისეობა მეტ სვლიდას ნიშნავს

„მეტი ცვლილება მინდა ქალებისთვის, ამიტომ როცა ტრენინგზე ან შეხვედრაზე ვარ, სულ იმას ვფიქრობ, რა შეიძლება ჭუბერელებისთვის საინტერესო წავიღო. ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა. ეს სიყვარულია გადამწყვეტი ყველაფერში. სამშობლო მართო მინა არ არის, სამშობლო უპირველესად ადამიანებია და მინდა, რომ მათ კარგად იცხოვრონ“, – აღნიშნავს ნატო.

მიაჩნია, რომ ცვლილებებისკენ გზა



ნატო სუბარი ჭუბერის საჯარო სკოლიდან სახლისკენ მიმავალ გზაზე.

განათლებასა და მოხალისეობაზე გადის. განათლება, უმაღლესი თუ პროფესიული, ქალებს რეალიზებისა და საკუთარი ინტერესების დაცვაში ეხმარება, მოხალისეობრივად ფიქრისა და უანგაროდ საქმის კეთების გარეშე კი შედეგები არ დგება. ამ თემაზე ნატო მოსწავლეებთანაც ხშირად საუბრობს და ახალგაზრდებში მოხალისეობის გადამდებ მუხტს ქმნის.

შენიშვნები

* ცხინვალის ომი

1980-იანი წლების ბოლოს საქართველოს ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში კონფლიქტი გაღვივდა, რომელიც 1991-1992 წლებში ომში გადაიზარდა. სხვადასხვა მონაცემზე დაყრდნობით, ამ კონფლიქტს 1000-მდე ადამიანი ემსხვერპლა, 60 ათასზე მეტი კი დევნილად იქცა.

** აფხაზეთის ომი

საქართველოს რეგიონში, აფხაზეთში, 1992-1993 წლებში მიმდინარე კონფლიქტის შედეგად, 10 ათასზე მეტი ქართველი დაიღუპა, ასეულობით უგზო-უკვლოდ დაიკარგა, 300 ათასამდე ადამიანი კი იძულებული გახდა, დაეტოვებინა მშობლიური კუთხე და ამ დრომდე საკუთარ ქვეყანაში დევნილობაში ცხოვრობს. 1993 წლის 27 სექტემბერს, როცა ქალაქი სოხუმი დაეცა, ათიათასობით დევნილი საკენჭუბერის უღელტეხილზე გადმოვიდა და ურთულესი გზა ფეხით გაიარა. უცნობია იმ ადამიანების ზუსტი რიცხვი, რომლებიც გზაში სიცივისა და შიმშილისგან დაიღუპნენ. სამშვიდობოზე გამოსული დევნილები ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში, ძირითადად, სასტუმროებსა და სანატორიუმებში გადაანაწილეს, სადაც ისინი რთულ პირობებში, წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ.

*** აგვისტოს ომი

2008 წლის აგვისტოში, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში დაძაბულობის ახალი კერა წარმოიშვა. უმაღლეს წერტილს მან რუსეთ-საქართველოს ომის სახით მიაღწია, რომელიც ხუთ დღეს გაგრძელდა და 2008 წლის 16 აგვისტოს, საფრანგეთისა და ევროკავშირის მაშინდელი თავმჯდომარე ქვეყნის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის შუამავლობით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და მის რუს კოლეგას, პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს შორის ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი შეთანხმების ხელმოწერით დასრულდა. რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, 412 ქართველი დაიღუპა, 1700-ზე მეტი დაშავდა, 138 ათასი კი იძულებით გადაადგილებულ პირად იქცა. მათი ნაწილი მეორედ გახდა დევნილი და საკუთარ სახლში დაბრუნებას დღემდე ვერ ახერხებს.